ვახტანგ გურული

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483 - 1801)

თბილისი
2009

ნაშრომი ეძღვნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას XVI საუკუნიდან 1801 წლამდე. ორი ქვეყნის დიპლმატიური, პოლიტიკური და სახედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია გაშუქებულია სათანადო დოკუმენტებსა და მასალებზე, ასევე ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. უარყოფილია რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის მცდარი შეხედულებები.

განკუთვნილია სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. **დიმიტრი შველიძე**

წინასიტყვა

საქართველო-რუსეთის დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია დიდი ხნის მანძილზე საგანგებოდ ყალბდებოდა. ისტორიის გაყალბების მოტივი სხვადასხვა ჰქონდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიოგრაფიას. შედეგი ერთი და იგივე იყო – დაიკარგა ჭეშმარიტი ისტორია. ამ სამარცხვინო საქმეს დიდის მონდომებით აგრძელებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ აუცილებელი გახდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა. ჭეშმარიტი ისტორიის შექმნას ძალზე მტკივნეულად განიცდის რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი დაკვეთის აღმსრულებელი თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია. ცხადია რუსებს არ სიამოვნებთ იმ საძრახისი როლის წარმოჩენა, რომელსაც რუსეთი ასრულებდა კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში რუსეთი ჩაება არა როგორც მართლმადიდებელი ერის, ქართველების, არა როგორც საქართველოს დამცველი და მფარველი, არამედ როგორც ჩვეულებრივი აგრესორი, რომელსაც კონკრეტული გეოსტრატეგიული მიზნები ამოძრავებდა. რუსეთი საქართველოს არ განიხილავდა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ და ამიტომ არც ქართული სამეფო-სამთავროების დაცვასა და გაძლიერებაზე ზრუნავდა. რუსეთი საქართველოს განიხილავდა როგორც გეოსტრატეგიულ სივცეს, რომლის ხელში ჩაგდება აუცილებელი იყო მახლობელ აღმოსავლეთში აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის. რუსეთის გააქტიურებამ სამხრეთ კავკასიაში ქართულ სამეფო-სამთავროებს შვება ვერ მოუტანა. ირანი და ოსმალეთი სავსებით სწორად ვარაუდობდნენ, რომ მართლმადიდებელი რუსეთის შემოჭრა სამხრეთ კავკასიაში ქართველებს რუსეთის ბუნებრივ მოკავშირეებად აქცევდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის გააქტიურებას ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ამაოხრებელი ლაშქრობებით უპასუხეს და უფრო სწრაფი ტემპით დაიწყეს საქართველოს საბოლოოდ ამოგდების გეგმის განხორციელება. ამის დამადასტურებელი იყო აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა ქართლ-კახეთზე 1795 წელს. რუსეთი ყოველივე ამას მშვიდად შესცქეროდა და ქრისტიანი ერის დასაცავად პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა. ასე გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: **ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებისა და განადგურებაში, ირანთან და ოსმალეთთან ერთად, რუსეთმა გადამწყვეტი როლი შეარულა.** ირანთან და ოსმალეთთან დაპირისპირებაში გამარჯვებულ რუსეთს საქართველო და მთელი სამხრეთ კავკასია ერგო.

ვახტანგ გურული

21 აპრილი, 2009 წელი

თავი I. საქართველო-რუსეთის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების დასაწყისი

რუსეთის მოსვლა სამხრეთ კავკასიაში და ქართული სამეფო-სამთავროების (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) დაპყრობა (1801 – 1810 წწ.) დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. რუსეთის სახელმწიფოს დაინტერესება ჩრდილო და სამხრეთ კავკასიით, ნელი, მაგრამ კარგად გააზრებული წინსვლა კავკასიის მთავარი ქედის მიმართულებით დაემთხვა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის უწყვეტ გაუარესებას. XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე ქვეყნის შიგნით დამღუპველი პროცესები განვითარდა. **პირველი.** ერთიანი ქართული მონარქია ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა (მოგვიანებით მათ რიცხვს მიემატა სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები); **მეორე.** ქართულ სამეფო სამთავროებს შორის დაიწყო ხანგრძლივი დაპირისპირება, რომელიც ხშირად ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე; **მესამე.** სამეფო-სამთავროებში დაიწყო სათავადოების წარმოქმნა და გაძლიერება, რამაც შიგნიდან დაასუსტა ცალკეული სამეფოები და სამთავროები; **მეოთხე.** იყო ცდები საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დარღვევისა; **მეხუთე.** საქართველოს პოლიტიკურმა დაშლამ დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ ცნობიერებას. დაპირისპირება და ომები ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის კიდევ უფრო აღრმავებდა ამ პროცესს.

საქართველოს საშინაო მდგომარეობის გაუარესებას დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობის გართულება: **პირველი.** საქართველოს სამხრეთით წარმოიშვა ორი ძლიერი მუსლიმური სახელმწიფო – ოსმალეთი (თურქეთი) და ირანი. 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. 1461 წელს ოსმალებმა ქალაქი ტრაპიზონი დაიკავეს, ხოლო 1475 წელს ჩრდილო შავიზღვისპირეთიც დაიპყრეს. **მეორე.** 1514 წელს ომი დაიწყო ირანსა და ოსმალეთს შორის. ამ ომის ერთ-ერთი მიზანი, ისევე როგორც XVI-XVII საუკუნეებში წარმოებული მრავალი ომისა, სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო. ამასიის ზავიდან (1555 წ.) მოყოლებული საქართველოს ტერიტორია რამდენჯერმე განაწილდა ირანსა და ოსმალეთს შორის. **მესამე.** საქართველოს სამხრეთით, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ირანისა და ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ამ ორმა ისლამურმა სახელმწიფომ შეღწევა იწყო კავკასიის მთიანეთში. ირანმა – კასპიის ზღვისპირეთიდან, ოსმალეთმა – შავი ზღვისპირეთიდან. ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ისლამის გავრცელება და იქაური მოსახლეობის ისლამის რჯულზე მოქცევა. ქართული სამეფო-სამთავროები მუსლიმური სახელმწიფოების რკალში აღმოჩნდნენ; **მეოთხე.** დასავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპაში ოსმალეთის მზარდი აგრესიის პირობებში სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში ვერ ერეოდნენ. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნები ირანს ანტიოსმალური კოალიციის წამყვან ძალად განიხილავდნენ და, საქართველოს გამო მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ასეთ ვითარებაში ქართული სამეფო-სამთავროების ევროპულმა ორიენტაციამ აზრი დაკარგა, რეალობას მოკლებული აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპიდან დახმარების მიღების ცდები (საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ელჩობა ევროპაში 1460-1461 წლებში, ქართლის მეფის ელჩობა ევროპაში 1471 წელს, კახეთის მეფის ელჩობა ევროპაში 1471 წელს) უშედეგოდ დამთავრდა. **მეხუთე.** ირანთან და ოსმალეთთან

უთანასწორო ბრძოლაში მოკავშირის გარეშე დარჩენილმა საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის ნაწილი: ჭარ-ბელაქანი (საინგილო) და კაკ-ენისელი და სამცხე-საათაბაგო, აჭარა, აფხაზეთი, შავი ზღვის სანაპიროზე (სამეგრელოსა და გურიაში) არსებული სიმაგრეები.

აი, ასეთ უმძიმეს საშინაო და საგარეო ვითარებაში ქართული დიპლომატიის ისტორიაში გადაიდგა საბედისწერო ნაბიჯი. ქართველმა დიპლომატებმა მიზნად დაისახეს სამხრეთ კავკასიაში მიმდანარე მოვლენებში მესამე ძალის – **რუსეთის** – ჩართვა. **პრორუსული** ორიენტაციის შემუშავება პირველად კახეთის სამეფოში, მეფე **ალექსანდრე I-ის (1476-1511)** კარზე მოხდა. რას ემყარებოდა კახეთის მეფის ჩანაფიქრი? ცხადია, ალექსანდრე I-ს კარგად ექნებოდა გაანალიზებული მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ სამყაროში განვითარებული მოვლენები. კახეთის მეფეს ასევე უნდა სცოდნოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიცია სამხრეთ კავკასიის მიმართ. მთლად ნათელი არ არის , თუ რა წარმოდგენა ჰქონდა ალექსანდრე I-ს რუსეთში შექმნილი საშინაო ვითარებასა და ,რაც მთავარია ,რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთის სამეფო კარს ძალზე ზოგადი, ხშირ შემთხვევებში ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ქვეყნაზე, რომელსაც დახმარებას სთხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალექსანდრე I ღრმად უნდა ყოფილიყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის დახმარებით მუსლიმური სახელმწიფოების აგრესიისგან თავის დაცვა არარეალური იყო.

კახეთის მეფის **ალექსანდრე I-ის (1476-1511)** თანამედროვე რუსეთის (მოსკოვის) მთავარი **ივანე III (1462-1505)** ქვეყნის მართვას საკმაოდ რთულ ვითარებაში შეუდგა. ოქროს ურდოს ხანი ჯერ-ჯერობით რუსეთის უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა. მართალია, რუსეთმა ოქროს ურდოსაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი საკმაოდ სერიოზულ სამხედრო ძალას ფლობდა და შეეძლო რუსეთისათვის დიდი ზიანი მიეყენებინა. ივანე III სამი წლის განმავლობაში (1477-1479 წწ.) ომს აწარმოებდა დიდი ნოვგოროდის შემოერთების მიზნით. დიდი ნოვგოროდის რუსეთის სახელმწიფოში შესვლას ეწინააღმდეგებოდა პოლონეთ-ლიტვის მეფე **კაზიმირ IV**, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ოქროს ურდოს ხანის **აჰმედის** მიმხრობას ცდილობდა. მართალია, ივანე III-მ ნოვგოროდი შეიერთა (1479 წ.) და რუსეთში მონღოლთა ბატონობასაც ბოლო მოუღო (1480 წ.), მაგრამ მალე ტვერის სამთავროს შემოერთბისათვის მოუწია ბრძოლა (1485 წ.). 1492-1494 წლებში რუსეთი ლიტვასთან იყო ომში ჩაბმული. ამ ომმა რუსეთ-ლიტვის წინააღმდეგობა ვერ გადაჭრა, ახალი ომი კარს იყო მომდგარი.

ასეთი იყო საშინაო და საგარეო ვითარება რუსეთში, როცა **1483 წელს** კახეთის მეფის ელჩები **მოსკოვში** ჩავიდნენ. ცხადია, იმხანად რუსეთის დიდი მთავარი ივანე III კახეთის სამეფოს არა მარტო სამხედრო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, არამედ დიპლომატიურ მხადრაჭერასაც კი ვერ დაჰპირდებოდა. რუსეთში ჯერ-ჯერობით არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო კავკასიაში რუსეთის შეღწევის გეგმის მონახაზიც კი. მართალია, ოქროს ურდო დაიშალა, მაგრამ რუსეთის აქტიურობას კავკასიის მთავარი ქედის მიმართულებით ზღუდავდა **ყირიმის, ყაზანის** და **ასტრახანის** მონღოლური სახანოები. რასაკვირველია, ყაზანის, ყირიმისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის გარეშე რუსეთი ვერც ჩრდილოეთ და , მით უმეტეს, ვერც სამხრეთ კავკასიაში რეალურ ძალად ვერ იქცეოდა.

ქართველმა დიპლომატებმა პრორუსული ორიენტაციის შემუშავებისას დაუშვეს სტრატეგიული შეცდომა. რუსეთის სამხრეთ კავკასიაში მოსვლა ნიშნავდა რუსეთ—ირანისა და რუსეთ--ოსმალეთის ომების დაწყებას. რუსეთს ირანთან და ოსმალეთთან ომები არ შეეძლო, რადგან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან. რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებასა და

გაძლიერებას (XV-XVI სს.), ბუნებრივია, მტრულად შეხვდნენ მისი დასავლელი და ჩრდილოელი მეზობლები: **პოლონეთი, ლიტვა, ლივონიის ორდენი, შვეცია.** ამის გამო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე რუსეთი სამხრეთში აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. 1492-1494 წლების რუსეთ-ლიტვის ომს მოჰყვა ახალი ომები ლიტვასთან (1500-1503 წწ. და 1512-1514 წწ.).

ივანე III-სა (1462-1505) და ვასილი III-ს (1505-1533) პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის **ივანე მრისხანის (1533-1584)** დროს. ივანე მრისხანე უმთავრესად მიიჩნევდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ბალტიისპირეთში), რაც ლიტვასთან, პოლონეთსა და შვეციასთან ომის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად **ლივონიის ომი (1558-1583 წწ.).** ამავე დროს ივანე მრისხანემ შეძლო ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ვერ მოახერხა ყირიმის სახანოს დაუფლება, მაინც ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებისათვის.

შექმნილ ვითარებაში ქართველმა დიპლომატებმა კვლავ ცადეს რუსეთის ჩართვა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, კერძოდ, - ირანთან ოსმალეთის დაპირისპირებაში. ინიციატივა კვლავ კახეთის სამეფო კარმა გამოიჩინა. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, **სტრატეგიული შეცდომა დაშვებული არ ყოფილა.** ივანე მრისხანე სერიოზულად იყო დაინტერესებული ჩრდილო კავკასიით. ვითარება არ შეცვლილა არც მისი მემკვიდრის მეფე **თევდორეს (1584-1598)** დროს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის რუსეთის დაინტერესების სფეროს ჩრდილო კავკასია შეადგენდა და არა სამხრეთ კავკასია. ლივონიის ომში (1558-1583 წწ.) დამარცხებული რუსეთი, რასაც ჩრდილო-დასავლეთით (განსაკუთრებით ბალტიისპირეთში) რუსეთის პოზიციების შესუსტება მოჰყვა, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაებმებოდა. თუ ირანი და ოსმალეთი ჩრდილო კავკასიის ბარში (და არა მთიანეთში) რუსეთის შეღწევას შეეგუებოდნენ, ამ შემთხვევაშიც კი ქართველ დიპლომატთა გეგმის რეალიზება მაინც ძნელი იქნებოდა. **ყველა შემთხვევაში, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში არარეალურ ძალად დარჩებოდა.** სწორედ ასეთი ვითარების შედეგი იყო კახეთის სამეფოში მეფე **ლევანის (1518-1574)** დროს რუსთა რაზმის შემოსვლა. ივანე მრისხანემ მდინარე თერგის ხეობაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობა დაიწყო. თუ რუსეთი შეძლებდა კონტროლი დაეწესებინა იმ გზებზე, რომლებიც მდინარე თერგის ხეობაში არსებული ციხე-სიმაგრეებიდან კახეთის სამეფოში ჯარის გადაყვანისათვის იყო აუცილებელი, ქართველი დიპლომატების გეგმის განხორციელებაც რეალური ხდებოდა. ცხადია, შექმნილი საფრთხე დროულად შენიშნეს ირანმა და ოსმალეთმა. რუსეთი ამ ქვეყნებთან ურთიერთობის გართულებას მოერიდა (ოსმალეთის წაქეზებით ყირიმის ხანი რუსეთის საზღვრებში შეიჭრა). რუსებმა თერგის ხეობაში აგებული ციხე-სიმაგრეები დაანგრიეს. კახეთში მყოფი რუსთა რაზმიც ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა.

რუსეთის კავკასიური პოლიტიკის მარცხი ვერ გაითვალისწინეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. მათ დაუშვეს **კიდევ ერთი სტრატეგიული შეცდომა**. კახეთის მეფე **ალექსანდრე II (1574-1605)** ირანისა და ოსმალეთის აგრესიის მოგერიებას კვლავ რუსეთის დახმარებით ცდილობდა, ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ რუსეთმა არათუ სამხრეთ კავკასია, არამედ ჩრდილო კავკასიაც ირან-ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა. ცხადია, კახეთის სამეფო კარმა არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ ლივონიის ომის (1558-1583 წწ.) დასრულების შემდეგ რუსეთ-შვეციის ურთიერთობა კვლავ დაძაბული რჩებოდა. ამ უკანასკნელს ოკუპირებული ჰქონდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი. მოსალოდნელი იყო ახალი ომი შვეციასთან.

რუსეთისა და კახეთის სამეფოს ურთიერთობა მალე სათანადო დოკუმენტებითაც გაფორმდა. კახეთის მეფემ რუსეთის მეფეს მიართვა "ფიცის წიგნი", ხოლო რუსეთის მეფემ კახეთის მეფეს უბოძა "წყალობის სიგელი". კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) **„ფიცის წიგნისა"** და რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის **„წყალობის სიგელის"** არც ორიგინალები და არც ასლები მიკვლეული არ არის. უფრო მეტიც, ჩვენთვის უცნობია ამ დოკუმენტების დაწვრილებითი შინაარსიც კი. დღემდე მეცნიერები ეყრდნობიან იმ მწირ მასალას, რომელიც დაცულია რუსი ისტორიკოსის სერგეი ბელოკუროვის წიგნში (იხ.: Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московскаго главнаго архива Министерства иностранных дел **Сергеем Белокуровым.** Выпуск 1-й. 1578-1613. Москва, 1889).

1586 წლის 23 სექტემბერს რუსეთის მეფესა და დიდ მთავარ **თევდორე ივანეს ძეს** ასტრახანის ვოევოდამ **თევდორე ლობანოვ-როსტოვსკიმ** აცნობა, რომ ასტრახანში მივიდნენ კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ელჩები: **მღვდელი იოაკიმე, ბერი კირილე** და **ჩერქეზი ყურშიტა.** დედაქალაქიდან მიღებული ბრძანების თანახმად, ასტრახანის ვოევოდამ კახეთის მეფის ელჩობა მოსკოვში გაისტუმრა. 9 ოქტომბერს რუსეთის მეფემ კახეთის მეფის ელჩები მიიღო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მეფესთან მიღებაზე, ისევე როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორც წესი, კახეთის მეფე ალექსანდრე II **„მეფედ"** კი არ იწოდებოდა, არამედ **„ალექსანდრე მთავრად"** ("Александр князь"). ამავე დროს რუსეთის მეფე ხაზს უსვამდა თავის მეფურ ღირსებას: "Великий государь, царь и великий князь Федор Иванович всеа Руси, Владимерский, Московский, Ноугородцкий, царь Казанский и Астраханский и иных многих земель государь и облаадатель восточных и западных и северных стран". მხოლოდ იშვიათად ესმებოდა ხაზი ალექსანდრე II-ის მეფურ ღირსებას: "Иверские земли Александр царь". როგორც ჩანს, რუსეთის მეფის კარზე ჩათვალეს, რომ კახეთის მეფე თავისი ღირსებით უტოლდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხების მთავრებს.

კახეთის მეფის ელჩებმა რუსეთის მეფეს მიართვეს ალექსანდრე II-ის თხოვნა ("челобитная"): 1) მფარველობაში მიეღო კახეთის სამეფო (" ... под своею царскою рукою держати"). 2) დაეცვა კახეთის სამეფო მტრებისაგან (" ... царскою рукою... царском имяни... обороняти... ото всяких... недругов").

ალექსანდრე ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართველებსა და რუსებს ერთი რელიგია – ქრისტიანობა – აკავშირებდათ.

რუსეთის მეფემ, თევდორე ივანეს ძემ, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის თხოვნა შეიწყნარა: კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებასა და მტრებისაგან სამხედრო ძალით დაცვას დაჰპირდა ("И мы грамоту твою приняти велели есмя и ее выслушали милостивно и тебя, Александра князя, и твою землю Иверскую по твоему челобитью под свою царскую руку приняли есмя и держати тебя и товю землю в своем царскою рукою хотим и оберегати тебя и твою землю ото всяких твоих недругов").

1587 წლის 3 აპრილს რუსეთის მეფემ ბრძანა კახეთის მეფის ელჩები სამშობლოში გაესტუმრებინათ და თან გაეყოლებინათ რუსი ელჩები: თავადი **როდიონ ბირკინი, პეტრე პივოვი** და **სტეფანე პოლუხანოვი.** ქართველი ელჩები მოსკოვიდან 11 აპრილს გამოემართნენ, რუსი ელჩები კი ცოტა ხანს შეყოვნდნენ.

3 ივლისს ქართველი და რუსი ელჩები ასტრახანიდან ერთად გამოემგზავრნენ საქართველოში.

რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის ელჩები კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ 1587 წლის 26 აგვისტოს მიიღო. 29 აგვისტოს რუსმა ელჩებმა კახეთის მეფეს რუსეთის მეფის სიგელი გადასცეს. სიგელში აღნიშნული იყო: 1) რუსეთის მეფემ შეიწყნარა კახეთის მეფის თხოვნა, 2) კახეთის სამეფო მიღებული რუსეთის მფარველობაში, 3) რუსეთი სამხედრო ძალით დაიცავდა კახეთის სამეფოს მტრებისაგან.

1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ თავის მემკვიდრეებთან და სამეფო კარის მოხელეებთან (თავადებთან) ერთად რუსი ელჩების როდიონ ბირკინისა და პეტრე პივოვის თანდასწრებით რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის ერთგულებაზე დაიფიცა. დაფიცების შემდეგ ალექსანდრე II-მ **სიგელს („ფიცის წიგნს“)** ხელი მოაწერა, სიგელს ბეჭედი დაუსვეს და რუსეთის მეფის ელჩებს როდიონ ბირკინსა და პეტრე პივოვს გადასცეს ("Да велел запис целовалную совершить... да на той записи Александр князь и своими детми и с чиновными людми за всю Иверскую землю перед Родивоном да перед Петром государю правду дал, на записи крест целовал и запис целовалную за своею рукою и за печатью Родивону и Пету дал").

რუსმა ელჩებმა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის სიგელი („ფიცის წიგნი“) მოსკოვში ჩაიტანეს და მეფე თევდორე ივანეს ძეს მიართვეს.

1588 წლის ოქტომბერში მოსკოვში კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის კიდევ ერთი ელჩობა ჩავიდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თავადი **ყაფლან ვაჩნაძე, ბერი კირილე** და **ჩერქეზი ყურშიტა.** 31 ოქტომბერს კახეთის მეფის ელჩობა რუსეთის მეფემ თევდორე ივანეს ძემ მიიღო. ქართველმა ელჩებმა რუსეთის მეფეს მიართვეს ალექსანდრე II-ის თხოვნა ("челобитная"). კახეთის მეფის სათხოვარი იგივე იყო: მფარველობაში მიღება და სამხედრო დახმარების აღმოჩენა. ოფიციალურ მიღებაზე ქართველ ელჩებს განუცხადეს: 1) კახეთის მეფე ალექსანდრე II უკვე მიღებულია რუსეთის მეფის მფარველობაში, მას დაფიცებული აქვს რუსეთის მეფის ერთგულებაზე და ხელი აქვს მოწერილი სიგელზე („ფიცის წიგნზე“); 2) რუსეთი კახეთის სამეფოს დაიცავს მტრებისაგან; 3) ასტრახანისა და თერგის ვოევოდებს ნაბრძანები აქვთ დაღესტანზე ლაშქრობა და კახეთში მიმავალი გზის დაღესტნელთაგან გაწმენდა.

1588 წლის 23 აპრილს რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძემ კახეთის სამეფოში ახალი ელჩობის გაგზავნა ბრძანა. ელჩობაში შედიოდნენ: თავადი **სიმონ ზვენიგოროდსკი,** დიაკი **ტორხ ანტონოვი,** ბერი **ზაკხეი**, მღვდელი **იოსები**, მღვდელი **ბოგდანი**, მღვდელი **დიმიტრი**, დიაკვანი **თეოდოსი**, დიაკვანი **თევდორე** და ხატმწერები.

რუსეთის მეფის ელჩებმა 1589 წლის 6 აგვისტოს ჩრდილო კავკასიაში ჩააღწიეს და 8 სექტემბერს უკვე სუნჯაში იყვნენ. სუნჯიდან ელჩობა საქართველოში გამოემგზავრა. 10 ოქტომბერს რუსი ელჩები ალავერდის მონასტერს ეწვივნენ, ხოლო 16 ოქტომბერს ისინი ალექსანდრე II-მ მიიღო. რუსმა ელჩებმა კახეთის მეფეს გადასცეს რუსეთის მეფის **„წყალობის სიგელი“.** ეს დოკუმენტი რუსულ წყაროში ასეა მოხსენიებული: "А се такова жаловалная грамота з золотою печатью послана от государя к Иверскому Александру царю с послы со князем Семеном Звенигородцким да дияком с Торхом с Антоновым".

რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელში“ აღნიშნული იყო, რომ რუსეთი კახეთის სამეფოს მტრებისაგან საიმედოდ დაიცავდა.

თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელის“ ბოლოს აღნიშნული იყო, რომ იგი შეადგინეს მოსკოვში ქვეყნის გაჩენიდან 7097 წლის აპრილში (ე. ი. 1589 წლის აპრილში).

მიუხედავად რუსეთის მეფის დაპირებისა, კახეთის სამეფომ რუსეთისაგან რეალური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ვერ მიიღო.

კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაცია საბოლოოდ დაასამარა მეფე თევდორეს სიკვდილის (1598 წ.) შემდეგ რუსეთში დაწყებულმა შინააშლილობამ, დიდმა სოციალურმა ამბოხმა და **ჟეჩ-პოსპოლიტასა** (პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს) და **შვეციის** აგრესიამ (1603-1610 წ.). რუსეთის პოზიციების შესუსტება კარგად გამოიყენა ირანის შაჰმა **აბას I-მა** და სასტიკად დასაჯა კახეთის სამეფო სახლი – 1605 წელს **ალექსანდრე II** და მისი ვაჟი **გიორგი** შაჰმა მოაკვლევინა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел **Сергеем Ал. Белокуровым**. Выпуск 1-й. 1578-1613 гг. Москва, 1889.

2. **იასე ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბილისი, 1956.

3. **ლევან ალექსიძე.** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1983.

4. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.

5. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

თავი II. საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისი.

შინააშლილობის, დიდ სოციალური ამბოხისა და ჟეჩ-პოსპოლიტასა და შვეციის აგრესიისგან დასუსტებული რუსეთი ნელ-ნელა გაიმართა წელში და უკვე მეფე **ალექსის (1645-1676)** დროს სერიოზულ ძალად იქცა. ამ პერიოდისათვის რუსეთის უმთავრეს ამოცანას უკრაინიდან ჩეჟ-პოსპოლიტას განდევნა და შვეციის აგრესიული გეგმების აღკვეთა წარმოადგენდა. უკრაინის რუსეთთან შეერთებას (1654 წ.) მოჰყვა ხანგრძლივი ომი ჩეჟ- -პოსპოლიტასთან, რომელიც 1667 წელს დასრულდა. არანაკლებ მძიმე იყო ომი შვეციასთან (1656-1658 წწ.). რუსეთმა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია: ჩეჟ პოსპოლიტას მთელი უკრაინა ვერ დაათმობინა, ხოლო შვეციას ვერ წაართვა ბალტიის ზღვის სანაპიროები. ყირიმის სახანო კვლავ დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის სამხრეთ რეგიონებს.

მეფე ალექსის (1645-1676) კარზე არ შემუშავებულა არც ჩრდილოეთ კავკასიასა და, მით უმეტეს, არც სამხრეთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოების გეგმა. ასეთ ვითარებაში **ქართულმა დიპლომატიამ მორიგი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** მეფე **თეიმურაზ I** (გამეფდა კახეთში 1606 წელს, ქართლ-კახეთის მეფე გახდა 1625 წელს, ქართლის ტახტი დაკარგა 1633

წელს, კახეთისა – 1648 წელს) კვლავ პრორუსული პოლიტიკით ცდილობდა ქვეყნის გადარჩენას. 1658 წელს თეიმურაზ I მოსკოვში ჩავიდა დახმარების სათხოვნელად. ამ დროს გრძელდებოდა რუსეთ-ჩეჟ-პოსპოლიტის ომი, ხოლო შვეციასთან მხოლოდ დროებითი ზავი იყო დადებული. ასეთ ვითარებაში თეიმურაზ I, ცხადია, ხელცარიელი გამოისტუმრეს საქართველოში.

პრორუსული ორიენტაციის მარცხმა თავისთავად გამოიწვია პროირანული ორიენტაციის გაძლიერება. პროირანულ ორიენტაციას ადგნენ: **ერეკლე I** (გამეფდა ქართლში 1688 წელს, კახეთში – 1703 წელს), **დავით II** (გამეფდა კახეთში 1709 წელს), **გიორგი XI** (პირველად გამეფდა ქართლში 1675 წელს, მეორედ – 1703 წელს).

ორსაუკუნოვანი პრორუსული ორიენტაციის შედეგი ასეთი იყო. ირანმა და ოსმალეთმა 1555 წლის **ამასიის** ზავით, 1590 წლის **სტამბოლის** ზავით, 1612 წლის **სტამბოლის** ზავით, 1618 წლის **სერაფის** ზავით, 1619 წლის **სტამბოლის** ზავით, 1639 წლის **ზოჰაბის** ზავით საქართველოს ტერიტორია რამდენჯერმე გადაინაწილეს. საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ: **ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანს დარჩა, ხოლო იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები – ოსმალეთს.**

ქართველი დიპლომატების მიერ პრორუსული ორიენტაციის შემუშავებისა და მისი რეალიზებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება XVIII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოდან. ეს მოვლენა ქართლის ჯანიშინისა და მეფის **ვახტანგ VI-ისა (1703-1724 წწ.)** და რუსეთის მეფის **პეტრე I-ის (1696-1725 წწ.)** სახელებს უკავშირდება.

ირანის შაჰის მიერ 1703 წელს ქართლის ჯანიშინად (მმართველად) დანიშნული, ხოლო 1716 წელს ქართლის მეფედ დამტკიცებული ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაციის აუცილებლობის აღიარებამდე ერთბაშად და ადვილად არ მისულა. ვახტანგ VI-ის წინამორბედი მეფეები, ისლამის აღმსარებელი **გიორგი XI** ირანის შაჰის სამსახურში დაიღუპა (1709 წ.). ირანის შაჰის სამსახურს შეეწირა მომდევნო მეფეც, ასევე ისლამის აღმსარებელი **ქაიხოსრო** (1711 წ.). ამის შემდეგ მეფობის ყველაზე რეალური კანდიდატი ვახტანგ VI იყო, მაგრამ ტახტზე ასვლისათვის აუცილებელი იყო წინამორბედი მეფეების მსგავსად ქრისტიანობის უარყოფა და ისლამის მიღება. 1712 წელს ვახტანგ VI ირანში გაემგზავრა. როგორც ჩანს, იგი ამ პერიოდისათვის რუსული ორიენტაციის მიღებაზე არ ფიქრობდა, თუმცა არც წინამორბედი მეფეების, გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს, პროირანული ორიენტაციის გაგრძელებას აპირებდა. ვახტანგ VI ცდილობდა რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების დახმარებით ირანის ბატონობიდან თავის დახსნას. ამრიგად, ვახტანგ VI შემდეგი არჩევანის წინაშე იდგა: **პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება, პრორუსული ორიენტაციის მიღება, პროდასავლური ორიენტაციის მიღება.**

ვახტანგ VI-ს კარგად ჰქონდა გააზრებული პროირანული ორიენტაციის დამღუპველი შედეგები. XVII საუკუნის ისტორია ამის ბევრ მაგალითს იძლეოდა. მაგრამ ეს არ კმაროდა პროირანული ორიენტაციის უარსაყოფად. ვახტანგ VI ხედავდა, თუ როგორ სუსტდებოდა ირანი, შაჰი რისი ვაი-ვაგლახით ახერხებდა ავღანელთა შემოტევის შეჩერებას. ყოველივე ამან ვახტანგ VI-ს უბიძგა, ზურგი შეექცია ირანისათვის.

ვახტანგ VI-ის მიერ პროირანული ორიენტაციის უარყოფა შეიძლება რეალობას მთლად მოკლებული არ ჩანდა. სამაგიეროდ, სრულიად არარეალური იყო ვახტანგ VI-ის მიერ **სულხან-საბა ორბელიანის** მეთაურობით დასავლეთ ევროპაში ირანის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად დიპლომატიური მისიის მივლინება. ტრადიციულად, ევროპაში ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ განიხილავდნენ და ქართლის სამეფოს ინტერესებისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნები ირანს არ გაანაწყენებდნენ.

ასეც მოხდა. 1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნდა. პროდასავლური ორიენტაციის მარცხმა ვახტანგ VI იძულებული გახადა 1716 წელს ისლამი მიეღო. შაჰმა ვახტანგ VI ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ 1719 წლამდე ირანში დატოვა. რატომ დააყოვნა შაჰმა ირანში ვახტანგ VI? შაჰს ამისათვის სერიოზული მიზეზები ჰქონდა. ცხადია, ირანის შაჰის კარი შეიტყობდა სულხან-საბას დასავლეთ ევროპაში ვიზიტისა და იქ გამართულ მოლაპარაკებათა თაობაზე. რაღა თქმა უნდა, შაჰისათვის ცნობილი იქნებოდა ირანში მყოფი ვახტანგისა და შაჰის კარზე მივლენილი რუსეთის დესპანის **არტიომ ვოლინსკის** საიდუმლო კონტაქტების თაობაზეც. ეს ორი მიზეზი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ს ირანის შაჰის ნდობა დაეკარგა.

პრორუსული ორიენტაციის მიღებას ვახტანგ VI საბოლოოდ სულხან-საბას ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნების შემდეგ (1715 წ.) გადაწყვეტდა. აუცილებელი იყო ქართლში დაბრუნება და რუსეთთან კავშირის დამყარება. სწორედ ამით იქნებოდა განპირობებული ოთხწლიანი ყოყმანის შემდეგ ვახტანგ VI-ის მიერ ისლამის მიღება (1716 წ.). ამის შემდეგ შაჰს ვახტანგ VI-ის ირანში დაყოვნების მიზეზი აღარ უნდა ჰქონოდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, შაჰი ვახტანგ VI-ს აღარ ენდობოდა და მისი ირანში ყოფნა მაქსიმალურად გაახანგრძლივა. 1719 წელს ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნდა და რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებისათვის დაიწყო მზადება.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მიერ პრორუსული ორიენტაციის აღიარება წარმოადგენდა **იძულებით ნაბიჯს**. ასეთი სარისკო გადაწყვეტილება განპირობებული იყო ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპიდან დახმარების მიუღებლობითა და პირადად ვახტანგ VI-ის ძლიერი ანტიირანული განწყობით. მეფეს ღრმად სწამდა, რომ პროირანული ორიენტაცია სამუდამოდ დაღუპავდა ქვეყანას.

მართალია, ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მიღება მაინც გარკვეულ გათვლებს ემყარებოდა. ქართლის მეფის ჩანაფიქრს ჰქონდა როგორც რეალური, ისე არარეალური საფუძველი.

პირველი. ვახტანგ VI სავსებით სწორად მიიჩნევდა, რომ რუსეთს სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიიდან, კერძოდ ქართლიდან და კახეთიდან, ასევე აზერბაიჯანიდან ირანის განდევნა შეეძლო.

მეორე. ვახტანგ VI-მ ვერ გაითვალისწინა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრას არ დაუშვებდა ოსმალეთი და რუსეთს ირანის გავლენის სფეროების ხელში ჩაგდებას არ დაანებებდა.

მესამე. ვახტანგ VI-მ ვერც ის გაითვალისწინა, რომ ირანი, და განსაკუთრებით კი ოსმალეთი, საჭიროების შემთხვევაში აქტიურად გამოიყენებდნენ ჩრდილო კავკასიელ ისლამის აღმსარებელ ხალხებს, რაც დიდ სირთულეებს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიაში შეჭრილ რუსეთს.

მეოთხე. მართალია, ამ დროისათვის (1719 წ.) ჩრდილოეთის ომის მსვლელობაში (დაიწყო 1700 წ.) მოპოვებული წარმატებების შემდეგ რუსეთს პრაქტიკულად გადაჭრილი ჰქონდა უმთავრესი **გეოსტრატეგიული** ამოცანა (ბალტიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდება), მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გაბატონება ჯერ კიდევ არ ითვლებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პირველხარისხოვან ამოცანად. რუსეთისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო **ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში** განმტკიცება, **დუნაისპირეთის** ხელში ჩაგდება და **ბალკანეთში** შეჭრა. ამ გეოსტრატეგიული ამოცანის გადაჭრა **აზოვისა** და **ყუბანისპირეთიდან** ოსმალეთის განდევნითა და **ყირიმის** სახანოს დაპყრობით უნდა დაწყებულიყო. ამ რთული მიზნების განხორციელება კი ოსმალეთთან ომის გარეშე შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ

დუნაისპირეთსა და ბალკანეთში რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ასეთ ვითარებაში რუსეთი ირანის წინააღმდეგ დიდ ომში არ ჩაებმებოდა და ქართლის სამეფოს მოკავშირედ არ გამოადგებოდა.

1722 წელს რუსეთის იმპერატორმა **პეტრე I-მა** კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ირანის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობა მეფე ვახტანგ VI-ს შესთავაზა. ვახტანგ VI-მ პროირანულ ორიენტაციაზე საბოლოოდ უარი თქვა, 40-ათასიანი ჯარი შეკრიბა და პეტრე I-თან მოლაპარაკების თანახმად **განჯასთან** დაბანაკდა. ამასობაში ავღანელებმა ირანის დედაქალაქი ისპაჰანი აიღეს. რუსეთისა და ქართლის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა, ცხადია, შეაშფოთა ოსმალეთი. ოსმალეთის სულთანმა სწორად შეაფასა ვითარება: იმხანად (1722 წ.) ირანს ქართლისა და რუსეთის ერთობლივი ლაშქრობის მოგერიება არ შეეძლო. რუსეთის მიერ ირანის დამარცხების შემთხვევაში ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში ძლიერი კონკურენტი უჩნდებოდა. ქართლისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლას ოსმალეთი იმით შეეცადა, რომ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს მოკავშირეობა შესთავაზა. ვახტანგ VI-მ სწორად ამოიცნო ოსმალეთის ჩანაფიქრი – სამხრეთ კავკასიაში ძლიერი რუსეთის დამკვიდრებას ოსმალეთს ისევ სუსტი ირანის შენარჩუნება ერჩივნა. ქართლის მეფის გადაბირება ოსმალეთს სწორედ ირანის გადარჩენისთვის, ანუ რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შეჭრის შესაფერხებლად სჭირდებოდა. მართალია, ოსმალეთის სულთნის ჩანაფიქრი ვახტანგ VI-მ კარგად ამოიცნო, მაგრამ ის კი ვეღარ გათვალა, რომ ოსმალეთის სულთნის შემოთავაზებაზე უარის თქმით სამომავლოდ ირანთან ერთად ოსმალეთიც გადაიმტერა. უფრო ზუსტად, ვახტანგ VI პოლიტიკაში ყოვლად გაუმართლებელ რისკზე წავიდა – **ქართლის ბედი მხოლოდ პეტრე I-ის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ლაშქრობას დაუკავშირა და უკან დასახევი გზა, ირანთან და ოსმალეთთან მორიგების შანსი, აღარ დაიტოვა.**

ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ის წინააღმდეგ სამხედრო პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722 წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. 1722 წლის მარტში შაჰმა ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპული **როსტომის** (ვახტანგ VI-ის ძმის) ნაცვლად თავის გვარდიის სარდლად ვახტანგის ვაჟი **ბაქარი** დანიშნა და იგი ქართლის ჯართან ერთად სასწრაფოდ ირანში დაიბარა. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ირანისკენ დაიძრა, მაგრამ ვახტანგ VI-მ შვილს შაჰისათვის დახმარების აღმოჩენა აუკრძალა. ბაქარი მამას კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა: ქართლის სამეფოს ჯარის ნაწილი, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის მოლაპარაკების თანახმად, კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის ჯარს შეერთებოდა, ხოლო ნაწილი ავღანელების წინააღმდეგ ირანის შაჰს მიშველებოდა. სამეფო დარბაზის წევრთა ნაწილი რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევდა და პროირანული ორიენტაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. ვახტანგ VI-მ რჩევა არ გაითვალისწინა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პროირანული ორიენტაციის ერთხელ და სამუდამოდ უარყოფა. ამასობაში ავღაველებმა ისპაჰანი აიღეს, თუმცა ქართლისათვის ამას შვება არ მოუტანია. 1722 წლის მიწურულსა და 1723 წლის დამდეგს ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: **პირველი.** პეტრე I-მა კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობა მალევე, 1722 წელსვე, შეწყვიტა; **მეორე**. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ის დასასჯელად ჯარებს აგროვებდა; **მესამე.** რუსეთის გააქტიურებითა და პეტრე I-

ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შეშფოთებული ოსმალეთიც ქართლის სამეფოში შესაჭრელად ემზადებოდა. **მეოთხე.** პროირანული ორიენტაციის კახეთის მეფე **კონსტანტინე** ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას გეგმავდა; **მეხუთე.** თბილისში მდგარმა ირანის გარნიზონმა შაჰის ბრძანებით ქალაქს ცეცხლი დაუშინა; **მეექვსე.** 1723 წლის გაზაფხულზე ირანის შაჰის თანადგომით, ლეკთა, განჯისა და ერევნის ხანების ჯარების დახმარებით კახთა მეფე კონსტანტინემ თბილისი დაიკავა; **მეშვიდე.** 1723 წლის ივნისში ოსმალეთის ჯარები თბილისს მოადგნენ და ქალაქი აიღეს. კოსტანტინემ კახეთს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამღუპველი შედეგები სახეზე იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. უფრო ადრე (1723 წ.) რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ--თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი 2000.

2. **გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ VI. თბილისი, 1981.

3. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.

4. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003;

5. **М. Полиевктов.** Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе. Тифлис, 1932.

6. **Н. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тбилиси. 1968.

7. **Г. Пайчадзе.** Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в. Тбилиси, 1970

8. **В. Лысцов**. Персидский поход Петра I. 1722-1723. Москва, 1951.

თავი III. პრორუსული ორიენტაციიდან პროირანული ორიენტაციისაკენ

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის წყალობით გაჩანაგებული ქვეყანა კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა **თეიმურაზ II-მ** და მისმა ვაუმა **ერეკლე II-მ** პროირანულ ორიენტაციაზე დაბრუნებით იხსნეს. მათთვის ვახტანგ VI-ის დამღუპველი პოლიტიკის შედეგები კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა. თეიმურაზმა და ერეკლემ სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რეალურ ძალად კვლავ იქცა. 1735 წლიდან თეიმურაზი და ერეკლე ირანის სამხედრო-

პოლიტიკურ მოკავშირეებად მოგვევლინენ და მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალეთის განდევნაში. აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰმა **ნადირმაც (1736-1747)** სწორი დასკვნები გააკეთა წინამორბედი სეფიანი შაჰების მოღვაწეობიდან. ნადირ-შაჰი მიხვდა, რომ საქართველოს (ქართლისა და კახეთის) ამოგდების, ისლამის რჯულზე მოქცევის პოლიტიკამ კრახი განიცადა. გარდა ამისა, ირანის შაჰების პოლიტიკამ აიძულა ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაცია მიეღო, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა ირანს. ნადირ-შაჰი კარგად ხედავდა, რომ სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას რუსეთი მომავალში კვლავ შეეცდებოდა. ამ შემთხვევაში ირანისაგან შევიწროებული ქართლი და კახეთი, ბუნებრივად, რუსეთის მოკავშირეებად იქცეოდნენ. გამომდინარე აქედან, ნადირ-შაჰმა მიზნად დაისახა გარკვეული დათმობების გზით ქართლისა და კახეთის სამეფოები პროირანულ ორიენტაციაზე დაეყოლიებინა, რათა რუსეთის გააქტიურების შემთხვევაში მათ მეფეები ვახტანგ VI-ის პოლიტიკას აღარ მიბრუნებოდნენ. ამით იყო განპირობებული ნადირ-შაჰის მიერ 1744 წელს ქართლის მეფედ თეიმურაზ II-სა და კახეთის მეფედ ერეკლე II-ის დამტკიცება. მეფედ დამტკიცების პირობად ირანის შაჰს ისლამის მიღება არ წამოუყენებია. თეიმურაზი და ერეკლე ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ. 1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II ქრისტიანული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ. 1632 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართლის სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე ავიდა. ნადირ-შაჰის პოლიტიკა გააგრძელა ირანის ტახტისათვის მებრძოლმა **ქერიმ-ხანმა**.

ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) ირანში შინააშლილობა დაიწყო, შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ირანის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით კარგად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს **ერევნის, განჯის, ნახჭევანისა** და **ყარაბაღის** სახანოები. ეს იყო დიდი წარმატება. ერევნის, განჯის, ნახჭევანისა და ყარაბაღის ხანები თითქმის სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ ქართლისა და კახეთის მეფეებს. ამ გამარჯვებას აუფერულებდა ის, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ დიდი მარცხი იწვნიეს – ირანის მიერ წართმეული უძველესი ქართული პროვინცია **ჭარ-ბელაქანი (საინგილო)** ვერ შემოიერთეს. ჭარ-ბელაქანში მოკალათებული დაღესტნელები გამუდმებით აწიოკებდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ მოსახლეობას. დაღესტნელთა თარეშს წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოჰქონდა ქვეყნისათვის. მოსახლეობა პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში ცხოვრობდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ--თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.

2. **გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ VI. თბილისი, 1981;

3. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.

4. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

5. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

6. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

7. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

თავი IV. პროირანული ორიენტაციიდან პრორუსული ორიენტაციისაკენ

თეიმურაზ II და ერეკლე II იმთავითვე მიხვდნენ, რომ ქართველი მეფეების მიერ ჭარ-ბელაქნის დაკავება ირანისა და ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა. დაღესტნელების გამუდმებული თავდასხმები კახეთისა და ქართლის სამეფოებზე ზემოქმედების, მათი დასუსტების საშუალებად განიხილებოდა ირანსა და ოსმალეთში. დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დახმარებით შეეცადნენ. 1752 წელს რუსეთში საგანგებო ელჩობაც გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის საიმპერატორო კარმა არა მარტო ჯარის გამოგზავნაზე განაცხადა უარი, არამედ ფულადი დახმარებაც შეუძლებლად მიიჩნია. პეტერბურგში სწორი დასკვნა გააკეთეს: ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) რუსეთის ჯარის შესვლა ძალზე გაამწვავებდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებს.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან დასრულდა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის **პროირანული** ორიენტაცია. დაიწყო ახალი, **პრორუსული** ორიენტაციის შემუშავება. ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. პრორუსული ორიენტაცია შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: **პირველი.** თეიმურაზიცა და ერეკლეც, ცხადია, გრძნობდნენ, რომ ირანში ნადირ-შაჰისა და ქერიმ-ხანის პოლიტიკა შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეცვლილიყო და ქართლსა და კახეთს თავს დასტეხოდა სეფიანი შაჰებისდროინდელი აგრესია. **მეორე.** მეფეები იმასაც გრძნობდნენ, რომ ირანის მბრძანებლებს სულაც არ სიამოვნებდათ ქართლისა და კახეთის მეფეების დიქტატი ირანულ სახანოებზე (განჯაზე, ერევანზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე). როგორც კი ირანში ცენტრალური ხელისუფლება ძალას მოიკრებდა, თეიმურაზისა და ერეკლეს მორჩილი სახანოები, შაქ-შირვანის ხანის ჰაჯი-ჩალაბის მსგავსად, ქართლისა და კახეთისათვის საშიშ ძალად იქცეოდნენ. **მესამე.** დაღესტნელთა ამაოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარ-ბელაქნის (საინგილოს), კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შესაჭრელად ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. **მეხუთე.** თუ ირანში შინაომლობა არ დასრულდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა და გამორიცხული არ იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ოსმალური აგრესიის საფრთხე შეექმნებოდათ.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს სურდათ რუსეთის იმპერიის დაინტერესება, რათა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) ირანის ადგილი დაეკავებინა. თუ რუსეთი დარუბანდიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა ,ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ – **დაღესტნელთა თარეში სამუდამოდ აღიკვეთებოდა** და ირანის **აგრესიაც საშიში აღარ იქნებოდა**. ირანული სახანოები (განჯა, ერევანი, ნახჭევანი, ყარაბაღი). იძულებული გახდებოდნენ პროქართული ორიენტაცია ეღიარებინათ. განწირული რჩებოდა შაქ-შირვანის სახანოც. რუსეთით ზურგგამაგრებული ქართლისა და კახეთის მიმართ ახალციხის ფაშაც დამთმობი უნდა გამხდარიყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გათვლები სამხრეთ კავკასიით რუსეთის იმპერიის დაინტერესებისა და მის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის (კასპიისპირეთის) დაკავების თაობაზე არარეალური აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში თეიმურაზ II-ის ელჩობის პერიოდისავის (1760-1762 წწ.) რუსეთს სულ სხვა გეოსტრატეგიული ამოცანები ჰქონდა დასახული: **პირველი.** პრუსია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ინგლისი, ცდილობდა რუსეთის გამოდევნას ბალტიისპირეთიდან. მართალია, შვიდწლიანი ომი (1757-1763 წწ.) პრუსიის მარცხით დამთავრდა, მაგრამ ინგლისის ანტირუსული პოლიტიკა ამით არ დასრულებულა. **მეორე.** ევროპის დიდი სახელმწიფოები ემზადებოდნენ დასუსტებული პოლონეთის გადასანაწილებლად. ცხადია, პოლონეთის ხარჯზე რუსეთის გაძლიერება მიუღებელი იყო ევროპის დიდი ქვეყნებისთვის. პოლონეთის საკითხს შეიძლება სერიოზულად დაეძაბა რუსეთ-ევროპის ურთიერთობა. გამორიცხული არ იყო რუსეთის შეჯახება ევროპის სახელმწიფოთა კოალიციასთან, რომლის შექმნას საგულდაგულოდ ცდილობდა ინგლისი. **მესამე.** ევროპაში პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების პარალელურად რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა ოსმალეთის განდევნა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან (ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია), დუნაისპირეთის ხელში ჩაგდება და ბალკანეთში შეჭრა. ასეთი რთული ამოცანის გადაჭრა ოსმალეთთან ომისა და ევროპის დიდ სახელმწიფოებთან (ავსტრია, პრუსია, ინგლისი, საფრანგეთი) ურთიერთობის გართულების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა რუსეთი ევროპულ კოალიციას დაპირისპირებოდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ: **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) დამკვიდრება XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს რუსეთის უახლოეს გეოსტრატეგიულ ამოცანას არ წარმოადგენდა და ამდენად, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას განხორციელება არ ეწერა.** თეიმურაზ II-მ ეს ცხადად იგრძნო პეტერბურგში ყოფნისას.

ხუთი წლის განმავლობაში (1763-1768 წწ.) ერეკლე II უნდა მიმხვდარიყო, რომ რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის მიმართ ინტერესს არ იჩენდა. იმის გამო, რომ ირანში ისეთი საგანგაშო არაფერი ხდებოდა, ქართლ-კახეთის მეფე მაინც ლოდინს ამჯობინებდა. 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ ერეკლე II-ს პრორუსული ორიენტაციის რეალიზების იმედი ჩაუსახა. **ერეკლე II-მ ამჯერად უკვე მეორე სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** რუსეთ-თურქეთის ომი (1768-1774 წწ.) რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებითაც რომ დამთავრებულიყო, რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) მაინც ვერ დამკვიდრდებოდა, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია ირანის გავლენის სფერო იყო და იქ ფეხის მოკიდებისათვის ირანის დამარცხება იყო საჭირო. ოსმალეთთან ომის პარალელურად კი რუსეთი, ცხადია, ირანთან ომს არ წამოიწყებდა.

ერეკლე II იმდენად იყო დაინტერესებული პრორუსული ორიენტაციის რეალიზებით, რომ რუსეთის იმპერიასთან ნაკლებადმომგებიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც დასთანხმდა. ოსმალეთთან ომის პირობებში იმპერატორი **ეკატერინე II (1762-1796)** ირანის ვასალურ ქვეყანაში ჯარს არ გამოგზავნიდა. რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა (იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და რუსეთი, ცხადია, იქ ჯარის გაგზავნისგან თავს არ შეიკავებდა), შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის

ჯარები ერთად დაიძვრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის (აწყურის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის) ოსმალთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.

რას იგებდნენ რუსეთ-იმერეთ-ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირიდან ეკატერინე II, სოლომონ I და ერეკლე II? ეკატერინე II სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებით გარკვეულ მიზანს აღწევდა – ოსმალეთი იძულებული გახდებოდა სამცხე-ჯავახეთში ჯარისა და არტილერიის ნაწილი დაეტოვებინა. სოლომონ I-ს შანსი ეძლეოდა იმერეთში ოსმალეთის გავლენა ან საერთოდ მოესპო, ან სერიოზულად შეესუსტებინა. ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა, სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა. ერეკლე II-ის მოქმედება არ იყო ბოლომდე ზუსტად გათვლილი: **პირველი.** ირანის ვასალი ქართლ-კახეთის სამეფო ომში ებმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის (ერეკლე II-ის) დასჯას მოსთხოვდა. **მეორე.** სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ ვის უნდა გადასცემოდა ეს ტერიტორია? ცხადია, სამცხე-ჯავახეთი ქართლ-კახეთს უნდა რგდებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა. ოსმალეთისთვის სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემა ამ ტერიტორიის ირანის მფლობელობაში გადასვლას ნიშნავდა, რადგან ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად განიხილებოდა. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემით (თუკი ეს მაინც მოხდებოდა) ერეკლე II სამომავლოდ ოსმალეთს უპირისპირდებოდა. საბოლოოდ კი ქართლ-კახეთის სამეფო სამცხე-ჯავახეთს მაინც ვერ შეინარჩუნებდა. ვერ შეინარჩუნებდა არა მარტო ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, არამედ მანამდეც. აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქანში, (საინგილოში) მოკალათებული დაღესტნელების მიერ ქართლ-კახეთის ძარცვასა და იქიდან ადამიანების გატაცებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ისინი ნაძარცვსა და ტყვეებს ახალციხის გზით ოსმალეთში გაჰყიდდნენ. ასე რომ, აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეებში ქართლ-კახეთის ჯარის ჩაყენებით (ზოგადად, მდინარე მტკვრის ხეობის ნაწილზე ქართლ-კახეთის სამეფოს კონტროლის დაწესებით) დაღესტნელები გასაღების ბაზრის გარეშე რჩებოდნენ. ახალციხის გზით ტყვეთა ბაზრის მომარაგებით ოსმალეთი ძალიან იყო დაინტერესებული. ეს კი იმას ნიშნავდა, ჭარ-ბელაქნისა და სამცხე-ჯავახეთის პრობლემა ერთ პრობლემად იქცეოდა და ერეკლე II-ს დიდ თავსატეხს უჩენდა. სამცხე-ჯავახეთის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძლებელი. **მესამე.** სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემთხვევაში ერეკლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა ორი დიდი სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის – დაინტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი. **ამრიგად, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი წარმატების შემთხვევაშიც ქართლ-კახეთის სამეფოს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა.**

წყაროები და ლიტერატურა:

1. **ვალერიან მაჭარაძე.** მასამები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი I. თბილისი, 2007.

2. **ვალერიან მაჭარაძე.** მასამები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი II. თბილისი, 1968.

3. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

5. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

თავი V. საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდა

ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთითა და ბალკანეთის ნახევარკუნძულით რუსეთი ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დამდეგს დაინტერესდა. მართალია, **პეტრე I-მა (1696-1725)** ამ რეგიონების დაპყრობა ვერ მოახერხა, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. ამ დროიდან დაწყებული რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობა მუდმივად დაძაბული იყო. XVIII საუკუნე რუსეთ-ოსმალეთის ომების სერიით აღინიშნა. ერთ-ერთი ომი, კერძოდ, 1768-1774 წლების ომი, საქართველოსაც შეეხო. ამ ომში რუსეთის მიზანს შეადგენდა **ყირიმის სახანოს** ლიკვიდაცია, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის პლაცდარმის მომზადება. რუსეთის საიმპერატორო კარმა ომში მოკავშირედ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხებისა და სახელმწიფოების გამოყენების გეგმა შეიმუშავა. რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების აზრით, იმერეთის მეფის **სოლომონ I-ის** მომხრობა ადვილი იქნებოდა, რადგან იმერეთის მეფე სულთნის ვასალი იყო და ოსმალეთს დიდი ხანია ებრძოდა. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა რუსებს საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგან ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოში ჯარის გამოგზავნისგან ომის დასაწყისში თავს იკავებდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იმერეთის მეფის სოლომონ I-თვის ჯარი გაეგზავნათ. 1769 წლის 27 ივნისს საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის **„მთავარ მეთაურად"** დაინიშნა რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი გერმანელი გრაფი **გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი**. საექსპედიციო კორპუსი არცთუ მრავალრიცხოვანი იყო: 3 ასეული (411 კაცი) და 6 ქვემეხი. ცხადია, მცირერიცხოვანი საექსპედიციო კორპუსი იმერეთის მეფეს საჭირო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. 1769 წლის მარტში პეტერბურგში ჩასული სოლომონ I-ის ელჩი ქუთათელი მიტროპოლიტი **მაქსიმე აბაშიძე** რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთში 5 ათასიანი ჯარის გაგზავნას თხოვდა. იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გამოჩენა ძალზე გააღიზიანებდა ოსმალეთის სულთანს. უფრო დამაფიქრებელი იყო ის, რომ საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა სახელგატეხილი გენერალი გ. ტოტლებენი. შვიდწლიანი ომის (1753-1763 წწ.) დროს გ. ტოტლებენი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა და რუსეთის არმიის ერთ-ერთ კორპუსს მეთაურობდა. 1761 წელს იგი პრუსიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. იმპერატორმა ეკატერინე II-მ მოღალატე შეიწყალა და რუსეთიდან გაძევება აკმარა. 1769 წელს გ. ტოტლებენმა რუსეთში დაბრუნება ითხოვა. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და

მალე გენერალი საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა.

მართალია, რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა საძნელო საქმედ ეჩვენებოდა, მაგრამ რუსები შეცდნენ. 1769 წლის აპრილში ომში ნეიტრალიტეტის დაცვის თხოვნით თბილისში მყოფ ოსმალეთის ელჩებთან ერეკლემ მოლაპარაკება შეწყვიტა და ელჩები ქვეყნიდან გააძევა, იმავდროულად საგანგებო საიდუმლო მისიით თბილისში ჩამოსულ რუსეთის წარმომადგენელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე ქართლ-კახეთის მეფემ თანხმობა განუცხადა. 1769 წლის მაისში სოლომონ I თბილისში ჩამოვიდა. მეფეები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ პროული ორიენტაციის ერეკლე II ასე ნაჩქარევად, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე, ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში? ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. ერეკლე II-მ იგრძნო, რომ რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის გარეშეც შედგებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთისა და იმერეთის გაერთიანებული ჯარი სამცხე-საათაბაგოზე ილაშქრებდა – **აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა** და **ახალქალაქის** დაკავებას შეეცდებოდა. ერეკლე II მიიჩნევდა, რომ სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და თუ ეს ტერიტორია ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლდებოდა, იგი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ერეკლე II-მ ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს მისი პროული ორიენტაცია არ მოსწონდა. ქართლ-კახეთის ნეიტრალიტეტი რუსეთის იმპერატორს კიდევ უფრო გააღიზიანებდა და გამორიცხული არ იყო, რომ ომში წარმატების შემთხვევაში სამცხე-საათაბაგო ეკატერინე II-ს იმერეთის მეფისათვის ებოძებინა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მხრიდან, დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდ სამხედრო ძალას გადმოისროდა და რეგიონიდან ოსმალეთის გაძევებას დაისახავდა მიზნად. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს უნდა ეგრძნოთ, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდი ომის წარმოებას არ აპირებდა. ამის დამადასტურებელი ცნობები ორივე მეფეს საკმაოზე მეტი ჰქონდათ. რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმით ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. სოლომონ I-ს ომის დასაწყისისათვის უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან (იმერეთის მიმართ ოსმალეთის დამთმობი პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებითაც იყო განპირობებული). ომში ნეიტრალიტეტით იმერეთის მეფე ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობილებას დაიმსახურებდა. კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვა ერეკლე II-მ. თბილისიდან გაძევებულმა ოსმალეთის ელჩებმა შეიტყვეს, რომ ომში ნეიტრალიტეტის თაობაზე მოლაპარაკების შეწყვეტისა და მათი ქვეყნიდან გაძევების მიზეზი თბილისში რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა იყო. ასეთი მოქმედებით ერეკლე II-მ ოსმალეთთან ურთიერთობა გაირთულა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა დიდ შეშფოთებას გამოიწვევდა ირანში და დაძაბავდა არა მარტო ქართლ-კახეთისა და ის ურთიერთობას, არამედ -ოსმალეთის ურთიერთობასაც. არც სოლომონ I-ს და არც ერეკლე II-ს 1769 წელს არ შეიძლება ცოდნოდათ უმთავრესი: **რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი.** ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი იმერეთს სასტიკად ააოხრებდა, კარგი დღე არც ქართლ-კახეთს

დაადგებოდა. ასე, რომ მეფეები ყოველმხრივ გაუმართლებელ რისკზე მიდიოდნენ.

1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა საექპედიციო კორპუსი – 480 კაცი და 4 ქვემეხი. 1769 წლის 12 აგვისტოს გენერალი გ. ტოტლებენი ასიოდე კაცითა და ორი ქვემეხით მოზდოკიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა (ჯარის ძირითადი ნაწილი ცოტა მოგვიანებით დაიძრა მოზდოკიდან). მას თან ახლდა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში **ანტონ მოურავოვი** (1769 წლის 11 ოქტომბრისათვის საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 480 კაცი. არასწორია ცნობა , რომლის მიხედვითაც რუსეთიდან საქართველოში გამოიგზავნა 3767 კაციანი საექსპედიციო კორპუსი).

1769 წლის 29 აგვისტოს **ერეკლე II,** კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I, გიორგი** და **ლევან** ბატონიშვილები დიდებულებთან ერთად სოფელ **ხოდაში,** სახელდახელოთ მოწყობილ ბანაკში, დიდი ზარზეიმით შეხვდნენ გენერალ გ. ტოტლებენსა და ა. მოურავოვს. 30 აგვისტოს გ ტოტლებენმა უკვე თავის ბანაკში მიიღო ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი. შეხვედრაზე განიხილეს ოსმალეთთან ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმის საკითხი. ერეკლე II-მ იმერეთთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად წამოაყენა: რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა 5 ათასიანი კორპუსი; თუ ეს ჯარი ზამთრის დადგომამდე ვერ მოახერხებდა საქართველოში შემოსვლას, მაშინ ზამთრამდე მისი ნაწილი (1500 კაცი) მაინც უნდა გამოგზავნილიყო, ხოლო დანარჩენი (3500 კაცი) მომავალ წელს უნდა შეერთებოდა საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსს. ერეკლე II-ის გათვლა აბსოლუტურად ზუსტი იყო. რუსეთის 5 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ლაშქართან ერთად სავსებით საკმარისი იყო სამცხე-საათაბაგოს სტრატეგიული სიმაგრეებიდან (აწყურიდან, ხერთვისიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან) ოსმალთა განსადევნად. (1770 წლის მარტში ერეკლე II-მ 7 ათასიანი ჯარი შეკრიბა, 2 ათასი კაცის შეკრებას მეფე კიდევ ელოდა, ხოლო 4 ათასი კაცი ყარაბაღის ხანის დასახმარებლად ჰყავდა გაგზავნილი. ასე რომ ქართლ-კახეთში შესაძლებელი იყო 12-13 ათასიანი ჯარის შეკრება. თუ იმერეთის მეფე ამის ნახევარს მაინც შეკრებდა, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 23-24 ათასს მიაღწევდა). ერეკლე II-მ თითქმის მიაღწია მიზანს. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3767 კაცით განსაზღვრა. ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ისა და გ. ტოტლებენის შეთანხმებისამებრ, მტკვრის ხეობით **ახალციხისაკენ** უნდა დაძრულიყო. ამ ლაშქრობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. 1770 წლის 24 მარტამდე გ. ტოტლებენი დაახლოებით 1200 კაცით **სურამში** იდგა. 17 მარტს ერეკლე II-ც 7 ათასი კაცითა და 3 ქვემეხით სურამში დაბანაკდა. სურამიდან ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი 24 მარტს **ქვიშხეთში** გადავიდა, ხოლო 14 აპრილს **სადგერთან** (ბორჯომის ახლოს) დაბანაკდა. 17 აპრილს ქართველთა და რუსთა ჯარი **აწყურის** ციხეს მიადგა. აწყურთან გ. ტოტლებენს ჰყავდა დაახლოებით 600-700 კაცი (დანარჩენი ჯარი გენერალმა სადგერთან დატოვა), თან ჰქონდა 8 ქვემეხი. 17 აპრილსავე დაიწყო აწყურის ციხის ალყა. 18 აპრილს გენერალი გ. ტოტლებენი თავისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე II ქართველთა ლაშქართან ერთად მტერს შეატოვა ხელში. მეფი თხოვნის მიუხედავად გ. ტოტლებენმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. ერეკლე II-მ აწყურის ციხეს ალყა მოხსნა. 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან** გამართულ ბრძოლაში ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი და ჯავახეთის გზით გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში.

დღემდე საპოლემიკო საკითხად რჩება გენერალი გ. ტოტლებენის მოქმედება აწყურის ციხესთან 1770 წლის 18 აპრილს. გ. ტოტლებენის მოქმედების ახსნისას ისტორიკოსებმა ოთხი ვერსია წამოაყენეს. გ. ტოტლებენი მოქმედებდა: **პირველი.** თვითნებურად, პირადი შეხედულებით; **მეორე.** უცხო ქვეყნების (ინგლისის, პრუსიის, ოსმალეთის) დაზვერვის მიერ შეთავაზებული გეგმით; **მესამე.** ქართლის თავადების წაქეზებითა და მათი თანადგომით; **მეოთხე.** რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც გენერალი **გ. ტოტლებენი მოქმედებდა რუსეთი საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. გ. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა ქართლის თავადების მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოეგდო ერეკლე II და მოეხდინა ქვეყნის ოკუპაცია.**

აწყურიდან დაბრუნებულმა გ. ტოტლებენმა ქართლის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. **ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გ. ტოტლებენის მიზანს ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმება და ქვეყნის რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში შეყვანა შეადგენდა. გ. ტოტლებენსა და მის მხარეზე მყოფ ქართლის თავადებს იმედი ჰქონდათ, რომ ერეკლე II აწყურიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა, ქართველთა ლაშქარიც განადგურდებოდა და სამეფო ხელისუფლების გაუქმებას წინ ვეღარავინ აღუდგებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩაფიქრებული გეგმა გ. ტოტლებენმა ვერ განახორციელა, რადგან ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გაიმარჯვა და ლაშქართან ერთად სწრაფად დაბრუნდა თბილისში. ამავე მიზეზით სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი დღეს ჩვენთვის უცნობია.**

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩაფიქრებული სახელმწიფო გადატრიალების თაობაზე შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1. ქართლის მეფის თეიმურაზ II-ისა და კახეთის მეფის ერეკლე II-ის პროული ორიენტაცია, მეფეების კარგი ურთიერთობა **ნადირ-შაჰთან, ადილ-შაჰთან, ქერიმ-ხანთან,** ცხადია, ხელს არ აძლევდა რუსეთის საიმპერატორო კარს. პროულ ორიენტაციას ერეკლე II არც თეიმურაზ II-ის გარდაცვალების (1762 წ.) შემდეგ ცვლიდა. მართალია, ერეკლე II რუსეთის წინაშე ზოგიერთ დათმობებზე მიდიოდა, მაგრამ 1765 წელს მეფე სასტიკად გაუსწორდა რუსეთის წაქეზებითა და თანადგომით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულებას), რომლის მიზანს ქართლში რუსული ორიენტაციის ბაგრატიონების (ქართლის ბაგრატიონების) დაბრუნება წარმოადგენდა.

2. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების დროისათვის (1768 წ.) ერეკლე II-ის პოლიტიკა იმდენად აშკარად პროული იყო, რომ რუსი პოლიტიკოსები და დიპლომატები ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმას საეჭვოდ, საძნელო საქმედ მიიჩნევდნენ. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმა, რაც რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას ნიშნავდა, დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ში.

3. რუსეთის საიმპერატორო კარი შიშობდა, რომ პროული ორიენტაციის ქართლ-კახეთის მეფეს იმერეთის მეფე სოლომონ I არ დაერწმუნებინა ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ჩაბმიდან მომდინარე დიდ საფრთხესა და ნეიტრალიტეტის დაცვის გონივრულობაში. თუ ერეკლე II და სოლომონ I ოსმალეთის წინაღმდეგ ომში არ ჩაებმებოდნენ, ოსმალებს საშუალება მიეცემოდათ სამხრეთ კავკასიაში განლაგებული ჯარისა და არტილერიის ნაწილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გადაესროლათ, სადაც ომის ბედი წყდებოდა.

4. 1768-1769 წლებისათვის შექმნილ ვითარებაში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების თაობაზე რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არაფერი იყო მოულოდნელი და არალოგიკური. ამ ხელსაყრელ მომენტს, ცხადია, რუსეთი ხელიდან არ გაუშვებდა – ჯარის შემოყვანა საქართველოში ყოველთვის ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი.

5. ერეკლე II-მ რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმები ვერ ამოიცნო, თუმცა დაეჭვებისათვის ფაქტები საკმოზე მეტი ჰქონდა.

6. გ. ტოტლებენის, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის შეთანხმებით ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი მტკვრის ხეობით უნდა დაძრულიყო **ახალციხის** დაკავების მიზნით. ახალციხის დაკავება სტრატეგიული თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული იყო. ერეკლე II-ისთვის ახალციხის დაკავება იმიტომაც იყო ხელსაყრელი, რომ ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) ჩაბუდებულ და კახეთსა და ქართლში მოთარეშე ლეკებს თავშესაფარი აღარ ექნებოდათ. ამასთან ერთად, ერეკლე II-მ შეცდომა დაუშვა ახალციხეზე ლაშქრობის მარშრუტის შერჩევისას. უმჯობესი იქნებოდა ახალციხეზე ლაშქრობა იმერეთიდან სამცხეში მიმავალი გზების გამოყენებით მომხდარიყო. იმერეთში რუსის ჯარის დაბანაკება და იქედან ოსმალეთის წინაღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყება დააშინებდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც იმერეთის მეფეს ეურჩებოდნენ. 1768-1770 წლებისთვის სოლომონ I-ის მდგომარეობა იმდენად მერყევი იყო, რომ 1770 წლის მარტ-აპრილში მეფემ ერეკლე II-ისა და გ. ტოტლებენის დასახმარებლად ქართლში ჯარი ვერ გამოაგზავნა. ასეთ მძიმე ვითარებაში იმერეთში რუსეთის ჯარის შესვლას და იმერეთიდან ახალციხეზე გალაშქრებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თუ მაინცადამაინც აუცილებელი იყო ახალციხეზე აღმოსავლეთ საქართველოდან ლაშქრობა, მაშინ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი თბილისიდან ჯავახეთის გავლით შეჭრილიყო სამცხეში და დაეკავებინა **ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე** და **აწყური.** იმერეთიდან ან ჯავახეთიდან სამცხეში შეჭრა ხელს არ აძლევდა გ. ტოტლებენს, მას ერეკლე II-ის წინააღმდეგ ქართლის თავადების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

7. ვინ უჭერდა მხარს გ. ტოტლებენს ქართლის თავადებიდან ზუსტად ცნობილი არ არის. დადასტურებულია, რომ ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიურად იყო ჩართული ორი თავადი – **დავით ქსნის ერისთავი** და **ზაალ ორბელიანი.** 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა მიავლინა. ელჩობის ერთ-ერთ წევრს ზაალ ორბელიანს, როდესაც შეუტყვია, რომ ეკატერინე II უკმაყოფილო იყო ერეკლე II-ის პოლიტიკით, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში განუცხადებია: „თუ მეფე (ეკატერინე II – ვ.გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა ან სოლომონსაო.” როგორც ვხედავთ ზაალ ორბელიანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების უშედეგო მცდელობის შემდეგაც კი არ წყვეტდა ბრძოლას.

8. რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ოფიცრებმა გენერალი გ. ტოტლებენის მოღალატური მოქმედება იმთავითვე შენიშნეს და პროტესტი გამოთქვეს. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო – გ. ტოტლებენის საქციელი სერიოზული ეჭვების აღმძვრელი იყო. ოფიცრების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან გ. ტოტლებენი რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ოფიცრებმა კი, ცხადია, ეს არ იცოდნენ.

9. ერეკლე II-ს პირველი ეჭვი გ. ტოტლებენის მიმართ **სადგერში** გაუჩნდა. ერეკლეს რჩევის მიუხედავად გ. ტოტლებენმა რუსული საექსპედიქიო კორპუსის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერში დატოვა. აწყურთან რუსებს

სულ 8 საველე ქვემეხი ჰქონდათ. ეს ქვემეხები სადგერიდან აწყურისაკენ ქართველებმა გადაიტანეს. რატომ დატოვა გ. ტოტლებენმა ჯარის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერთან? ცხადია, გ. ტოტლებენი აწყურის ციხის აღებას არც აპირებდა. მის მიზანს შეადგენდა ერეკლე II-ისა და ქართველთა ლაშქრის მტკვრის ხეობაში შეტყუება, აწყურის აღებისთვის ბრძოლის დაწყება და შემდგომ ქართველთა ბრძოლის ველზე მიტოვება. გ. ტოტლებენს საკმაოდ კარგი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, მან შესანიშნავად იცოდა თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა რუსთაგან მოულოდნელად მიტოვებული ქართველთა ლაშქარი. გ. ტოტლებენის გეგმის მიხედვით, ერეკლე II ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, უნდა განადგურებულიყო ქართლ-კახეთის ლაშქრის ძირითადი ნაწილი. ამის შემდეგ რუსის ჯარი ადვილად დაიკავებდა ქართლის სტრატეგიულ პუნქტებს და მოღალატე თავადების დახმარებით მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცებდა. ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსასვლელი გზა ამ დროისათვის უკვე გახსნილი იქნებოდა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ჯარის გადმოყვანა არ გაჭირდებოდა.

10. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ დგინდება რა გეგმები ჰქონდა რუსეთს ქართლ-კახეთში შეთქმულების წარმატების შემთხვევაში – ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და უშუალოდ უერთდებოდა რუსეთს, თუ ერეკლე II-ის ნაცვლად ტახტზე რუსული ორიენტაციის ბაგრატიონს (ქართლის ბაგრატიონს) აიყვანდნენ. არ იყო გამორიცხული ქართლის თავადების ოცნების ასრულებაც – ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა.

11. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმა ვერ განხორციელდა – შეთქმულება ჩაიშალა. ასპინძის ბრძოლიდან დაბრუნებულმა ერეკლე II-მ გ. ტოტლებენის მოქმედება აღკვეთა. რუსეთის საექსპედიციო კორპუსი იმერეთში გადავიდა.

12. ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ერთის მხრივ, ერეკლე II მიხვდა, რომ პროულ ორიენტაციას რუსეთი აღარ აპატიებდა და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე მისი ტახტიდან ჩამოგდებას ისევ შეეცდებოდა. თუ ერეკლე II მეფობას საერთოდ არ დაკარგავდა, ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა და იქ რუსეთის ერთგული ბაგრატიონების (ქართლის ბაგრატიონების) გამეფება ის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს არ გაუჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ერეკლე II შიშობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან სამხედრო- პოლიტიკური კავშირით განაწყენებული ირანი და ოსმალეთი ქართლ-კახეთის მეფეს აღარ ენდობოდნენ. **ერეკლე II-ს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაეკეთებინა.** 1770-1771 წლები გარდატეხის პერიოდია ქართლ-კახეთის სამეფოსა და საერთოდ მთელი საქართველოს (მთელი კავკასიისაც!) ისტორიაში. ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაცია არჩია და მისი რეალიზების გზების ძიებას შეუდგა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. **П. Бутков** Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Ч. I-III СПб; 1869;

2. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** СПб; 1902.

3. **ვალერიან მაჭარაძე.** მასამები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი I. თბილისი, 1988.

4. **ვალერიან მაჭარაძე.** მასამები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი II. თბილისი, 1997.

5. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

6. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

7. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

თავი VI. გეორგეევსკის ტრაქტატი

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი) მომზადდა და დაიდო იმხანად მოქმედი საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინე II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1771 წელს დააყენა. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული **მფარველობითი ხელშეკრულების პროექტი**, რომელსაც ერეკლე II-მ ხელი 1771 წლის 30 დეკემბერს მოაწერა, პეტერბურგში გაიგზავნა. 1772 წლის 6 იანვარს ერეკლე II-მ ხელი მოაწერა და პეტერბურგში გაგზავნა მეორე დოკუმენტი – **ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა.** საერთაშორისო ვითარების გამო რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გარკვეული ხნით გადადო. მხოლოდ 1782 წლის მიწურულსა თუ 1783 წლის დამდეგს იმპერატრიცამ **ა. ბეზბოროდკოს** მეშვეობით კავკასიის ხაზის უფროსს **გრიგოლ პოტიომკინს** გაუგზავნა მითითებანი ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების შესახებ. სწორედ ეს სამი დოკუმენტი (ერეკლე II-ის პროექტი, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა, ეკატერინე II-ის მითითებანი) დაედო საფუძვლად გეორგიევსკის ტრაქტატს.

1783 წლის 7 მაისს გენერალმა **პავლე პოტიომკინმა** პოდპოლკოვნიკ **ვ. ტამარას** ხელით თავად **გრიგოლ პოტიომკინისაგან** მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა. გენერალი პავლე პოტიომკინი იმერეთის მეფე **სოლომონ I-ს** წერდა: – ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლებელი გახადოს თქვენი მფარველობაში მიღებაცო. თან დასძენდა: – იმპერატორის სურვილია თქვენ და ერეკლე მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოთო. ერეკლესადმი წერილში გენერალი მეფეს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ულოცავდა და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა მისცემდა, გეორგიევსკში

გამოსაგზავნი ელჩები შეერჩია. იგი მეფეს ჰპირდებოდა, რომ ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვიდოდა და მაჰმადიან ხანებსაც გაფრთხილება გაეგზავნებოდათ. მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა აგრეთვე პოლკოვნიკი **ს. ბურნაშოვი**, რომელსაც საქართველოს სამხედრო შესაძლებლობანი უნდა შეესწავლა.

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე II-ს გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე). ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს.

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა რუსეთში გასაგზავნი საქართველოს ელჩიონის შემადგენლობა: პირველ ელჩად დაინიშნა თავადი **იოანე ბაგრატიონი**, მეორე ელჩად – თავადი **გარსევან ჭავჭავაძე**, ასისტენტად – თელავის სემინარიის რექტორი **გაიოზ არქიმანდრიტი**. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ამალა. ამასთან, თუ წარგზავნილთა შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო. 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავადებისა და აზნაურების სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა. მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი **გრიგოლ პოტიომკინი** დანიშნა. ამასთან, თუ იგი მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა თვითონვე დაენიშნა თავისი ნაცვალი. ასეც მოხდა. გრიგოლ პოტიომკინმა წარმომადგენლად დანიშნა თავისივე ნათესავი, გენერალი **პავლე პოტიომკინი**. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ **გეორგიევსკში**.

1783 წლის 24 ივლისს, დილით, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: **ტრაქტატის ძირითად ნაწილს, სეპარატულ მუხლებს** და **„ფიცის სახეს“** (რუსულ და ქართულ ტექსტებს). ხელი ჯერ პავლე პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ქართველმა ელჩებმა მოაწერეს. წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა **გარსევან ჭავჭავაძემ**, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში გრიგოლ პოტიომკინის დამსახურება.

24 ივლისს პავლე პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართლ-კახეთის სამეფოს თავადებისა და აზნაურების სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრიგოლ პოტიომკინს.

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: **ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისა და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“).** ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭედი დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენაზე შედგა, ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო. არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არ აქვს. ამიტომაც ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი“ ახლდა. ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა. ეს გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს

ჩვენთვის ხელმისაწვდომია გეორგიევსკის ტრაქტატის მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანითურთ“), რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული), ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანითურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადეცა, ჯერ მიკვლეული არ არის. რუსული დედანი, ალბათ, აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლებისას ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის 13 მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის **პრეამბულა**, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ანუ **„მეგობრობითი პირობის“** (რუსული ტექსტით „მეგობრობის ხელშეკრულების“ – "дружественный договор") დადების მოტივები. აღნიშნულია: – საქართველოს ოდითგანვე აწუხებდნენ მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შევთანხმდით, რომ **ქართლ-კახეთის მეფე ცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგანო.** შემდეგ დასახელებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ქვემოთ 13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებულია შეთანხმების პირობები, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თჳსითა მემკჳდრეთა და მენაც ლეთა თჳსთა“ საზეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს, ცნოს ის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას (მუხლი 1).

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან, იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც ერეკლე თეიმურაზის ძე, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერეთებს და რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმალ აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა გამოუგზავნის მათ სამეფო ნიშნებს და ისინიც მიიღებენ ერთგულების ფიცს. ამ წესს აღასრულებს ერეკლე მეფეც (მუხლი 3);

4) ერეკლემ (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) ერეკლე II-ს რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა ქვეყნების მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი წარმომადგენელი (მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა ამ უკანასკნელს: ა) ქართული სამეფოების მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის

მტრად ჩათვლის; ოსმალეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან რუსეთის მიერ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები ქართლ-კახეთზეც ვრცელდება; ბ) ერეკლესა და მის შთამომავლებს „დაიცავს უც ალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები – მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნებაა და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

7) ერეკლე, რუსეთის იმპერატორის აღთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეების სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურისათვის; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და ასრულებდეს მათ მოთხოვნასა და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის თუ მათი დაწინაურებისას გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათს დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებს მერვე ადგილს (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადები და აზნაურები უფლებებით უთანაბრდებიან რუსეთისას, და რათა სათანადო პატივი მიაგონ რუსეთში ჩასვლისას, ერეკლესაგან ითხოვენ ქართველ თავადთა და აზნაურთა სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში, ან, სურვილისამებრ, დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოხსნილი იქნებიან ირანის ან ოსმალეთის ტყვეობიდან, უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ. ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოხსნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლონ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსი ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევათ ასეთივე უფლება საქართველოში და საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისას (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ – "на вечные времена"), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება, რატიფიკაცია შეიძლება ადრეც (მუხლი 13);

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რომელიც დაიდო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელს აწერდნენ გენერალი **პავლე** პოტიომკინი, თავადი **იოანე ბაგრატიონი** და თავადი **გარსევან ჭავჭავაძე**, დასმულია მათი ბეჭდები.

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა ოთხი **სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული)**, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ერეკლეს ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს სოლომონ იმერთა მეფესთან, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ხარჯით ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი“ (კავკასიის ხაზის სარდალი) იმპერატორისაგან უფლებამოსილია, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს ერეკლეს და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორიც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარის იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ჯარის შესანახი ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს. მას ხელი მოაწერს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.

ცალკე დოკუმენტის სახით გაფორმდა **ფიცის ნიმუში („სახე“),** რომელიც ერეკლეს უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებული იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს **პავლე პოტიომკინმა**, **იოანე ბაგრატიონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით, აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს პავლეს და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნებოდა ერთგული რუსეთის იმპერატორისა და აღიარებდა მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას. იგი უარყოფდა სხვა ხელმწიფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად რაცხდა.

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. **„შესასრულებელი არტიკული“**, ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგანვე სამეფო ტახტზე გვირგვინით იმკობოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს მეფეები შემდეგშიც იმავე წესით ეკურთხონ. ამასთან ერთად, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მათ ინვენსტიტურას და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ „შესასრულებელი არტიკულიც“ (დამატებითი მუხლიც) ხელმოწერილია ხსენებულ წარმომადგენელთა მიერ, დასმული აქვს მათი ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის 24 იანვარი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებულია ქ. თბილისი. როგორც ცნობილია, პავლე პოტიომკინი 1784 წლის

იანვარში თბილისში არ ყოფილა. საქმეში იქვე დაცულ დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს“ თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს. როგორც ირკვევა, ეს მუხლი გეორგიევსკში იყო შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ ერეკლე II და ეკატერინე II არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ „შესასრულებელი არტიკულიც“ ეკატერინემ დაამტკიცა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პავლე პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა. ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური, დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს. საქართველოს წარმომადგენლებმა, ერეკლე II-ის მიერ ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, ხელი მოაწერეს „შესასრულებელ არტიკულს“ (ასევე რუსულ ეგზემპლარსაც). 25 იანვარს ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ „შესასრულებელი არტიკულის“ ტექსტები გაცვალეს (ქართული პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ ჩაიბარა, ხოლო რუსული – ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ). პ. პოტიომკინს „შესასრულებელ არტიკულზე“ ვ. ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია).

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ. იმავე წლის 20 აგვიტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი გამართა, ზეიმზე პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვიც მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, მისცეს სალუტი.

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს ტექსტის დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი – 13 მუხლი – მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გამოსაცხადებლად“. იგი რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში. 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, **„მეგობრობის ხელშეკრულების“** რატიფიკაცია და დოკუმენტი საქართველოში გამოგზავნეს.

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა.

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ვ. ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პავლე პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ს. ბურნაშოვისა და ვ. ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს, ხოლო ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ვ. ტამარას.

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი **სერგეი ბურნაშოვი**, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულებას. 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად რუსეთის სამეფო კარზე თავადი **გარსევან ჭავჭავაძე** დანიშნა.

გეორგიევსკის ტრაქტატით დასრულდა რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ესაა უმნიშვნელოვანესი მიჯნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში. **გეორგეევსკის ტრაქტატი თავისი შინაარსით წარმოადგენდა ისეთ ხელშეკრულებას, რომლის შესრულების შემთხვევაში, ქართლ-კახეთის სამეფო თავიდან აიცილებდა მუსლიმური სამყაროს (ირანი, ოსმალეთი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები) მხრიდან მომდინარე დამღუპველ საფრთხეს**. ამავე დროს, ერეკლე II-მ ვერ ამოიცნო, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის სამოქმედო გეგმა, მათ შორის ტრაქტატის არშესრულების გადაწყვეტილებაც, იმხანად უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა და მისი ამოცნობა ქართველი დიპლომატებისათვის ძალზე ძნელი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. **საბოლოოდ ტრაქტატმა მუსლიმური სამყაროს გაღიზიანება გამოიწვია და რუსეთისაგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა**. სწორედ ამის გამო გეორგიევსკის ტრაქტატი სავსებით სამართლიანად აღიქმება, როგორც **დიდი სტრატეგიული შეცდომა**. სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსი ფასდება რეალური შედეგით. ეს შედეგი კი ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დამღუპველი აღმოჩნდა. გეორგიევსკის ტრაქტატის საბოლოო შეფასებისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. არ არის გამორიცხული, რომ ისეთი დიდი დიპლომატიური ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოვებული პოლიტიკოსი, როგორიც ერეკლე II იყო, სათანადო ინფორმაციის გარეშეც გრძნობდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ღალატს. მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის მეფე ყოველ ღონეს ხმარობდა ტრაქტატის დადების მიზნით. ერეკლე II დარწმუნებული იყო, რომ რუსეთ-ირან-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა. ამ შემთხვევაში უმჯობესი იყო, ქართლ-კახეთის სამეფო სამხრეთ კავკასიაში შემოჭრილი რუსეთის მოკავშირე ყოფილიყო, ვიდრე პროირანული ან პროოსმალური ორიენტაციის ან, თუნდაც, ნეიტრალური, ქვეყანა.

და ბოლოს, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას: **ერეკლე II-ს პრორუსული ორიენტაცია რომ არ აერჩია და გეორგიევსკის ტრაქტატი არ დაედო, გადაურჩებოდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფო და შემდეგ მთელი საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობას?** ჩვენი აზრით, ამ კითხვას შეიძლება ასე ვუპასუხოთ: **ქართლ-კახეთის სამეფო და მთელი საქართველო დარჩებოდა რუსეთ-ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში გამარჯვებულს. საქართველოს ბედს სწყვეტდა არა ქართველ მეფე-მთავართა პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ – საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობა. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს ეს თანაფარდობა აშკარად რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ შეიცვალა. დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების**

მხრიდან სრული ინერტულობის პირობებში რუსეთის იმპერიამ ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგობა დაძლია და სამხრეთ კავკასია დაიპყრო.

ერეკლე II-ს, ცხადია, არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილ ძალთა თანაფარდობაზე. დიდ პოლიტიკას თავისი კანონზომიერებები გააჩნია, რომელთა შეცვლა ქართლ-კახეთის სამეფოს არ ძალუძდა. **ერეკლე II-ს კი შთამომავლობა პატივს უნდა მიაგებდეს იმისათვის, რომ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დიდი პოლიტიკისაგან განწირული სამშობლოს გადარჩენას ცდილობდა.**

წყაროები და ლიტერატურა:

1. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Под редакцией **А. Берже.** Том I. Тифлис, 1866;

2. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** СПб; 1902.

3. **П. Бутков** Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Ч. I-III СПб; 1869;

4. **С. Бурнашев.** Картина Грузии. Тифлис, 1896.

5. **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960.

6. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები **ვ. მაჭარაძისა.** თბილისი, 1983.

7. **ვალერიან მაჭარაძე.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი II. თბილისი, 1997.

8. **გიორგი პაიჭაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983;

9. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

10. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

თავი VII. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, ვეღარ გაუძლო რუსეთის ფარულ თუ აშკარა ბრძოლას და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, 1770-1771 წლებში, პრორუსულ ორიენტაციას დაადგა. პრორუსული ორიენტაციის რეალიზაციის პროცესში ერეკლე II-მ ბევრი რამ ვერ გაითვალისწინა. უმთავრესი ის იყო, რომ **ერეკლე II-მ პრაქტიკულად უარი თქვა პროირანულ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის ლავირებაზე და ქართლ-კახეთის ხსნა მხოლოდ პრორუსულ ორიენტაციას დაუკავშირა.** ეს იყო ის რაზეც ოცნებობდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსული დიპლომატია. 1771 წლიდან 1783 წლამდე რუსეთის იმპერიას თითიც არ გაუნძრევია ქართლ-კახეთის დასაცავად. ამის მიუხედავად, ერეკლე II-ს ერთხელაც არ უგრძნობინებია ეკატერინე II-თვის, რომ თუ რუსეთი ქართლ-კახეთს არ დაიცავდა, იგი იძულებული გახდებოდა

პოლიტიკური ორიენტაცია შეეცვალა. პირიქით, 1783 წელს ქართლ-კახეთი ყოველმხრივ კომპრომიტირებული რუსეთის მფარველობაში შევიდა და ისედაც შეშფოთებული მუსლიმური სამყარო საბოლოოდ აიმხედრა. ერეკლე II-ს არც გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ გამოუჩენია სიფრთხილე. პირიქით, გეორგიევსკის ტრაქტატი ერეკლე II-მ თავის დამსახურებად მიიჩნია და რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება გადაწყვიტა. რუსეთი ერეკლე II-ის გეგმებს მოჩვენებითი ყურადღებით ეპყრობოდა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს დამატებით სტიმულს აძლევდა. ერეკლე II-ის მისწრაფება, რუსეთი რაც შეიძლება მალე შემოსულიყო კავკასიაში, შეუმჩნეველი არ რჩებოდა სა და ოსმალეთს. ორივე ისლამური სახელმწიფო ქართლ-კახეთის დასასჯელად ემზადებოდა. ი და ოსმალეთი მხოლოდ შესაფერის დროს ელოდნენ. მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერია გეოერგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებაზე არც კი ფიქრობდა. 1786 წელს ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაციის შეცვლა გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ თავი შეიკავა. რუსეთის ინერტულობით შეშფოთებული ერეკლე II დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ ავსტრიის იმპერიაში, ეძიებდა მოკავშირეს. პროდასავლურ ორიენტაციას მხარს უჭერდა კათოლიკოს პატრიარქი **ანტონ I**. ქართლ-კახეთის სამეფო კარის პროდასავლური ორიენტაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ რუსეთის მთავრობის რეზიდენტმა **სერგეი ბურნაშოვმა** საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის საიმპერატორო კარი. სამწუხაროდ, ერეკლე II-ის პროდასავლურ ორიენტაციას განხორციელება არ ეწერა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიაში რეალურ ძალას არ წარმოადგენდნენ. **რუსეთ-დასავლეთ ევროპისა და ოსმალეთ-დასავლეთ ევროპის ურთიერთობები ისე განვითარდა, რომ სამხრეთ კავკასია ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირების რეგიონად დარჩა. ამ დაპირისპირებაში დასავლეთ ევროპის ქვეყნები არ ერეოდნენ.** დასავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან დახმარების მიღების შეუძლებლობაში დარწმუნებული ერეკლე II იძულებული იყო ისევ რუსეთის დახმარებით ეცადა ქართლ-კახეთის დაცვა მუსლიმური სამყაროს აგრესიისაგან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერეკლე II-ს წაგებული თამაში ბოლომდე უნდა ეთამაშა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: **პირველი.** საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი იმდენად მცირე იყო, რომ იგი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა თავდასხმების აღსაკვეთადაც არ კმაროდა. 1785 წელს ხუნძახის ბატონმა ომარ-ხანმა ქართლ-კახეთი სასტიკად ააოხრა. **მეორე.** ირანის გაერთიანებისათვის ბრძოლაში წარმატებას აღწევდა ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციის აშკარა მოწინააღმდეგე აღა-მაჰმად-ხანი. ირანის მბრძანებელმა დიდი ლაშქარს (დაახლოებით 70 000 კაცს) მოუყარა თავი, რითაც რეალური საფრთხე შეექმნა ქართლ-კახეთის სამეფოს. **მესამე.** 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი. ომის დაწყებისთანავე რუსეთმა ქართლ-კახეთიდან ჯარის ის მცირე კონტინგენტიც გაიყვანა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად უნდა მდგარიყო ქართლ-კახეთში. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთში ოსმალეთთან ომის დასრულების (1791 წ.) შემდეგაც აღარ დაბრუნებულა. **მეოთხე.** ერეკლე II კარგად გრძნობდა ირანისაგან მომდინარე დიდ საფრთხეს და რუსეთს მფარველობაში მიღებული ქვეყნის დაცვას სთხოვდა. მიუხედავად ერეკლე II-ის მრავალგზის დაჟინებული თხოვნისა ეკატერინე II ქართლ-კახეთის სამეფოში სერიოზული სამხედრო ძალის გამოგზავნისაგან თავს იკავებდა. **მეხუთე.** აღა-მაჰმად-ხანი წაახალისა რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკამ. ირანის მბრძანებელმა დიდ ლაშქარს მოუყარა თავი და სომხეთისა და აზერბაიჯანის სახანოების დამორჩილება დაიწყო.

ქართლ-კახეთს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. აშკარა იყო, რომ თუ ირანი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომსა დაიწყებდა რუსეთისაგან მიტოვებული ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ქართლ-კახეთის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი ბევრად ჩამოუვარდებოდა ირანის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს. ერეკლე II-ს შეეძლო ცალკეულ ბრძოლებში გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ საბოლოოდ ომი ირანთან მაინც ქართლ-კახეთის დამარცხებით დამთავრდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენა იმხანად მხოლოდ რუსეთის დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით იყო შესაძლებელი. ეს კარგად ესმოდათ ერეკლე II-ს, ეკატერინე II-ს და აღა-მაჰმად ხანს.

1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანმა კრწანისის ბრძოლაში რუსეთისაგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარი დაამარცხა და ქვეყანა სასტიკად ააოხრა. კრწანისის ბრძოლაში მარცხს ერეკლე II-ის მხრიდან დაშვებულ შეცდომებს მიაწერენ, ცხადია, ომის ორგანიზებისა და მიმდინარეობის პროცესში შეცდომები დაშვებული იქნა, მაგრამ ამ შეცდომებს ბრძოლის ბედი არ გადაუწყვეტიათ. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ. ერეკლე II-მ როგორც სარდალმა, შეიძლება ითქვას, სასწაული მოახდინა და მტერი კარგა ხნით შეაჩერა თბილისის მისადგომებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: **კრწანისის ბრძოლაში ერეკლე II-ის დამარცხება გაპირობებული იყო რუსეთის მხრიდან აღებული ვალდებულების შეუსრულებლობით, უფრო ზუსტად ღალატით.** იმოდენა სამხედრო ძალასთან გამკლავება ქართლ-კახეთის სამეფოს მხოლოდ თავისი ძალებით არ შეეძლო. რუსეთს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის აღსაკვეთად სამხედრო ძალის გამოყენებაც კი არ დასჭირდებოდა. ამ ლაშქრობის თავიდან აცილება რუსეთს დიპლომატიური გზითაც შეეძლო. იმხანად აღა-მაჰმად-ხანს რუსეთთან ურთიერთობის გართულება ხელს არ აძლევდა, რის გამოც რუსეთის მფარველობაში შესული ქვეყნის წინააღმდეგ ომს ვერ გაბედავდა. აღა-მაჰმად-ხანის გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობის თაობაზე სწორედ იმისი შედეგი იყო, რომ **რუსეთი არც დიპლომატიური და არც სამხედრო საშუალებებით არ შეეცადა ქართლ-კახეთის სამეფს დაცვას.**

ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს (1798-1800) მამამისის, ერეკლე II-ის, არც ნიჭი და არც შემართება არ გააჩნდა. **ერეკლე II-ის გარდაცვალებით (1798 წ.) მოისპო ის უკანასკნელი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას.** ცხადია, რუსეთის იმპერატორს ერეკლე II-ის სიცოცხლეშიც შეეძლო სამეფოს გაუქმება, მაგრამ ეს გაცილებით ადვილი და უმტკივნეულო იქნებოდა მისი მემკვიდრის – გიორგი XII-ის დროს. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად უწყოდნენ, თუ რა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო დედინაცვალთან (დარეჯან დედოფალთან) და ძმებთან დაპირისპირებული, ავადმყოფი გიორი XII-ის მეფობის პირველი ხანებიდანვე. მეფობის დასაწყისშივე, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, გიორგი XII მარტოდმარტო დატოვეს ძმებმა და შვილებმა, ტახტის მემკვიდრე დავითმაც კი. ყველა ემზადებოდა იმ დროისათვის, როცა ავადმყოფი მეფე გარდაიცვლებოდა და ტახტისათვის ბრძოლის შანსი მიეცემოდათ. ამ ვითარებით შესანიშნავად ისარგებლეს რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა. გიორგი XII მათი მუდმივი ზემოქმედებისა და შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა.

1799 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ტრაქტატით (1783 წ.) გათვალისწინებული რუსეთის ჯარის ბატალიონი

შემოვიდა. ჯარს სარდლობდა გენერალი **ლაზარევი**. რუსეთის ჯარს თან ახლდა ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის წარმომადგენლად დანიშნული მინისტრი **კოვალენსკი**. ამ დროიდან რუსი დიპლომატები და სამხედროები კონტროლს უწევდნენ გიორგი XII-ის მოქმედებას. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მათ ურჩიეს ქართლ-კახეთის მეფეს სამეფოს შენარჩუნების სანაცვლოდ თავისივე ინიციატივით შეეზღუდა სუვერენული უფლებები. გიორგი XII-მ რუსი დიპლომატებისა და სამხედროების რჩევა გაიზიარა და რუსეთის იმპერატორს შესაბამისი შინაარსის **„თხოვნაც“** გაუგზავნა. გიორგი XII-ის გადაწყვეტილება – შეეზღუდა სუვერენული უფლებები – უცნობი იყო თვით ტახტის მემკვიდრისათვისაც კი. დავით გიორგის ძემ მამის მიერ რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი მხოლოდ მამის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შეიტყო.

1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII თავის ელჩებს ავალებდა, **„მთლიანად გადაეცათ“** სამეფო რუსეთის იმპერატორისათვის. სუვერენულ უფლებათა შეზღუდვის სანაცვლოდ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში ("под покровительство") მიღებას.

2) ეს მფარველობა ("покровительство") გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ამას გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.) ითვალისწინებდა. ამჯერად ქართლ-კახეთის სამეფო უნდა ჩათვლილიყო რუსეთის იმპერიის „კუთვნილებად“ (" ... чтобы с этих пор царство Картлосианов считалось принадлежащим Держав Российской с теми правами, которыми пользуются находящияся в России другия области").

3) ქართლ-კახეთის სამეფოზე თავისი ხელისუფლების სრულად განხორციელების დროს ("во время принятия им Грузинского царства в полную свою власть и распоряжение") რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფისათვის უნდა მიეცა წერილობითი პირობა სამეფო დინასტიის შენარჩუნების თაობაზე ("не прекращать в доме моем царского звания").

4) გიორგი XII-ისა და მისი შთამომავლებისათვის უნდა შეენარჩუნებინათ მთელი ქონება ("полное и потомственное владение").

1800 წლის 24 ივნისს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა ე. წ. **„სათხოვარ პუნქტებს“** (ნოტას). რუსეთის იმპერატორის პავლე I-დმი მეფის სათხოვარი შემდეგში მდგომარეობდა:

1) გიორგი XII რუსეთის მფარველობაში მიღებას ითხოვდა პირადად მისი, მემკვიდრეების, სამდვდელოების, დიდებულებისა და ყველა ქვეშევრდომის სახელით (" ... навсегда принять подданство всероссийской Империи..."). ქართლ-კახეთის მეფე შეასრულებდა რუსეთის იმპერატორის ყველა კანონსა და ბრძანებას, ხოლო რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთში მიიღებდნენ, როგორც მემკვიდრე ხელმწიფესა და თვითმპყრობელს ("как наследственнаго (природного) своего государя и самодержца").

2) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ გიორგი XII უნდა დარჩენილიყო ქართლ-კახეთის მეფედ, სამუდამოდ უნდა შენარჩუნებოდათ სამეფო ტახტი მის მემკვიდრეებს.

3) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ გიორგი XII-ს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო ჯამაგირი და სოფლები რუსეთში (" ... содержанье деньгами и деревни в России").

4) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღებამდე დაუყოვნებლივ უნდა გაზრდილიყო ქართლ-კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარის რაოდენობა (" ... немедленно увеличть войска").

ამასთან ერთად, გიორგი XII აყენებდა მისი „სათხოვარი პუნქტების“ (ნოტის) განხილვისა და დროულად დამტკიცების საკითხს. გიორგი XII-ს განზრახული ჰქონდა „სათხოვარი პუნქტების“ დამტკიცების შემდეგ რუსეთის იმპერატორისათვის წარედგინა კიდევ რამდენიმე დოკუმენტი (თხოვნა).

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის „სათხოვარ პუნქტებს“ (ნოტას) რუსეთის საიმპერატორო კარზე სერიოზულად მოეკიდნენ. 1800 წლის 18 დეკემბრისათვის შედგენილი იქნა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. სხვადასხვა გარემოებათა გამო მანიფესტი ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა.

გიორგი XII-ის გაუაზრებელმა პრორუსულმა საგარეო პოლიტიკამ დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული.

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის **„სათხოვარი პუნქტები“** (1800 წლის 24 ივნისი) რუსეთის საიმპერატორო კარს ნათელ წარმოდგენას უქმნიდა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ. ამასვე ადასტურებდა საიმპერატორო კარისადმი რუსი დიპლომატებისა და სამხედროების მოხსენებები.

იმპერატორმა **პავლე I-მა** (1796-1801) გიორგი XII-ის **„სათხოვარი პუნქტები“** 1800 წლის 19 ნოემბერს განიხილა. ამაზე უკეთეს დროს რუსეთის იმპერატორი ვერ დაელოდებოდა – ქართლ-კახეთის მეფე თავისი ნებით იღებდა ხელს სუვერენულ უფლებებზე. 1800 წლის 18 დეკემბერს პეტერბურგში უკვე მზად ჰქონდათ მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. იმავდროულად ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები (გიორგი ავალიშვილი და რევაზ ფალავანდიშვილი) პეტერბურგიდან საქართველოში გამოისტუმრეს. პეტერბურგში დარჩა **გარსევან ჭავჭავაძე**. ელჩებს თან მოჰქონდათ იმპერატორ პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“.

პეტერბურგიდან 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი, რომელიც ჯერ საიდუმლოდ უნდა დაცულიყო, გადაუგზავნეს კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ **კარლ კნორინგს**. უფრო ადრე კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა ასევე საიდუმლო ბრძანება გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთში დამატებით შეჰყავდათ რუსეთის ჯარი. პეტერბურგიდან კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა მითითება იმის შესახებ, რომ სამეფოს გაუქმება მეფისა და დიდებულების „თანხმობით“ უნდა მომხდარიყო. პეტერბურგში შემუშავებული გეგმა ჩაშალა გიორგი XII-ის ნაადრევმა გარდაცვალებამ. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე ისე გარდაიცვალა, რომ ვერც პეტერბურგიდან მომავალმა ელჩებმა ჩამოაღწიეს და ვერც გენერალმა

კარლ კნორინგმა მოასწრო სამეფოს გაუქმების შესახებ მეფისაგან თანხმობის მიღება.

ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის **„სათხოვარი პუნქტები“**. სწორედ „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე გამოცხადდა გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი დავით XII **„საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად“**. თანახმად „სათხოვარი პუნქტებისა“, დავით XII ქართლ-კახეთის მეფედ რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. პავლე I-გან დასტურის მისაღებად დავით XII-მ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები ისევ პეტერბურგში გააბრუნა. არც ქართველმა ელჩებმა და, ცხადია, არც ქართლ-კახეთის სამეფო კარმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო მათი სამეფოს ბედი.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მანიფესტის ტექსტის შედგენა დასრულდა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს).

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: "царство Грузинское" და "Грузия".

იმპერატორი პავლე I აცხადებდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ უერთებოდა რუსეთის იმპერიას;

2) ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეუნარჩუნდებოდა ყველა უფლება და უპირატესობა, ასევე ქონება;

3) ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაცული იქნებოდა გარეშე მტრეთაგან და შინაგანი არეულობისაგან.

1801 წლის 20 იანვრის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ყველა წევრს პეტერბურგში იწვევდნენ. თბილისიდან პეტერბურგში გაიგზავნა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი და კვერთხი.

1801 წლის 6 მარტს პეტერბურგში დამტკიცდა ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს მმართველობის წესები. 11 მარტს ქართლ-კახეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი **კარლ კნორინგი**.

1801 წლის 11-12 მარტს, ღამით, შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი პავლე I. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება დროებით შეფერხდა.

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამამისის, იმპერატორ პავლე I-ის, საშინაო და საგარეო პოლიტიკა სერიოზულად გადასინჯა. ბევრი რამ უარყოფილი იქნა, ბევრი რამ ხელახალი შესწავლისა და მსჯელობის საგანი გახდა. ასეთივე ბედი ეწია იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე. ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხის ხელახლა განხილვის გადაწყვეტილება მიიღო. 1801 წლის 11 აპრილს რუსეთის იმპერიის **სახელმწიფო საბჭომ** მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას. სახელმწიფო საბჭოს მოსაზრება ემყარებოდა შემდეგს: 1) ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახის წევრებს შორის დაწყებული

უთანხმოება ისედაც სუსტ სამეფოს დაღუპვით ემუქრებოდა; 2) რუსეთის იმპერიამ უკვე საჯაროდ დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა, ამიტომაც იმპერიის პრესტიჟის დაცვა აუცილებელს ხდიდა ქართლ-კახეთის შეერთებას რუსეთთან; 3) ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება უზრუნველყოფდა რუსეთის იმპერიის საზღვრების დაცვას და აღკვეთდა კავკასიის მთიელთა თვითნებობას.

ამასთან ერთად, სახელმწიფო საბჭომ აუცილებლად ჩათვალა: ა) ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დატოვება; ბ) ქართლ-კახეთის დროებითი მთავრობის შექმნა; გ) ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით კავკასიის ხაზის უფროსის, გენერალ კარლ კნორინგის ქართლ-კახეთის სამეფოში მივლინება.

1801 წლის 8 აგვისტოს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენერალ **კარლ კნორინგის** მოხსენება. ასევე გაეცვნენ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გრაფ **ვორონცოვისა** და გრაფ **კოჩუბეის** მიერ წარდგენილ მოხსენებებს. გრაფი კოჩუბეი და გრაფი ვორონცოვი წინააღმდეგნი იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებისა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა ქართული სამეფოს რუსეთის იმპერიაში შესვლას. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა იმპერატორი **ალექსანდრე I.** 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში, ისევე როგორც სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად იხმარებოდა ცნებები „საქართველო“ და „საქართველოს სამეფო“ ("Грузия", "царство грузинское").

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I აცხადებდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა და დაცვა ხდებოდა რუსეთის მონარქების მოვალეობა.

2) 1796 წელს იმპერატომა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს გადასარჩენად გაგზავნა ჯარი, რომელმაც ქართლ-კახეთი იხსნა საფრთხისაგან, თუმცა ამ ჯარის მოულოდნელმა უკან გაწვევამ გააცრუა ქართველთა იმედები.

3) რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაატყდა მრავალი უბედურება: ურწმუნოთა თავდასხმები, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგება, ადამიანების გატაცება და ბოლოს დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრებს შორის.

4) მტრები მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ ქართლ-კახეთის სამეფო.

5) მთელ აზიაში ცნობილი ქართველთა სიმამაცეც კი ვერ იხსნიდა ქვეყანას დაღუპვისაგან.

6) რუსეთის ჯარის შემოსვლამ ქართლ-კახეთის სამეფოში (1799 წ. – **ვ. გ.**) და ომარ-ხანის დამარცხებამ იხსნა ქვეყანა განადგურებისაგან.

7) რუსეთმა შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს მტრების დაოკება, შეწყდა დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთმა ითხოვა (იგულისხმება გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ – ვ. გ.) ქვეყანაში

უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარება (" ... и все вы, единодушно и торжественно воззвали власть российскую управлять вами непосредственно").

8) როცა მე ტახტზე ავედი, უკვე გამოცემული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე.

9) მე მსურდა, გამეგო, თუ შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პირვანდელი პირობებით რუსეთის იმპერიის მფარველობაში დარჩენა (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები – ვ. გ.). გაირკვა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში შეუძლებელი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყანა დაღუპვის პირას იყო და იგი აუცილებლად დაიღუპებოდა, თუ მას რუსეთი არ შეიერთებდა ("столь кратно вовлекало вас в бездну золь, на краю коей и ныне вы стоите и в которую, по всем соображениям, должны бы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит").

10) ამ ვითარებამ და ქართველი ერის თხოვნამ გადაგვაწყვეტინა, დაგვეცვა ერთმორწმუნე ქვეყანა.

11) თქვენი იმედები გამართლდება, თქვენ მოტყუებულნი არ დარჩებით.

12) ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა ჩვენ იმიტომ კი არ გადავწყვიტეთ, რომ ისედაც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორია გაგვეფართოებინა, არამედ იმიტომ, რომ, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობიდან გამომდინარე, ყურად ვიღეთ წამებულთა ხვეწნა-მუდარა.

13) ქართლ-კახეთში შემოღებულმა მმართველობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კანონის დაცვა.

14) გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს დავავალეთ ქართლ-კახეთის მმართველობის ორგანიზება და იგი დავნიშნეთ მთავარმმართველის ("главноуправляющий") თანამდებობაზე.

15) აღდგება გაჩანაგებული სოფლები და ქალაქები.

16) ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს შეუნარჩუნდება მისი წოდებრივი მდგომარეობა, აღმსარებლობა (რელიგია) და პირადი უსაფრთხოება.

17) უფლისწულებს შეუნარჩუნდებათ საუფლისწულო მამულები, მამულებიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მიეცემათ ფულის სახით, თუ ისინი არ დაარღვევენ დადებულ ფიცს.

18) ამ მანიფესტის აღიარების (მიღების) ნიშნად ქართლ-კახეთის მოსახლეობამ უნდა დაიფიცოს თანდართული ფიცის ნიმუშის მიხედვით. სამღვდელოებამ, როგორც სულიერმა მოძღვრებმა, დაფიცებისას მაგალითი უნდა მისცეს ხალხს.

19) ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეიტყობს კეთილი მმართველობის ფასს: ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება; აღიკვეთება თვითნებობა; შეიქმნება პირობები პირადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; განვითარდება მიწათმოქმედება, რეწვა, ვაჭრობა. კანონი ყველას ერთნაირად დაიცავს.

20) რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აღუთქვამდა, რომ რუსული მმართველობის შემოღება მათთვის ჯილდო იქნებოდა ("Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единою для вас наградою").

ასე გათელა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გეორგიევსკის ტრაქტატით გარანტირებული ქართლ-კახეთის სამეფო სახლის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებები. ასე დასრულდა საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Под редакцией **А. Берже.** Том I. Тифлис, 1866;

2. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** СПб 1902;

3. П. Бутков Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Ч. I-III СПб; 1869;

4. **С. Бурнашев.** Картина Грузии. Тифлис, 1896;

5. **Н. Дубровин.** Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866;

6. **Н. Дубровин.** Георгий XII, наследний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897;

7. **პლატონ იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი XIII-სა. თბილისი, 1936;

8. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

9. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

თავი VIII. საქართველოს საკითხი რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულებებში (1700-1791 წწ.)

XVIII საუკუნეში ოსმალეთი, ირანი და რუსეთი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის. ეს დაპირისპირება გადაიზარდა ომებში. ომების დასრულების შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებებში გარკვეული ადგილი ეთმობოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილების საკითხს. ქვემოთ გთავაზობთ ნარკვევებსა და დოკუმენტებს იმის თაობაზე, თუ როგორ ნაწილდებოდა გავლენის სფეროებად საქართველოს ტერიტორია 1700 წლიდან 1791 წლამდე.

1. რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის ზავი (სტამბოლის ტრაქტატი)

XVII საუკუნის დამლევს რუსეთმა პირველი ნაბიჯები გადადგა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობის მიზნით. ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი ოსმალეთს ეპყრა. ოსმალეთის გარნიზონები იდგა **აჭარის, გურიის, სამეგრელოსა** და **აფხაზეთის** სანაპიროზე:

ბათუმში, ციხისძირში, შეკვეთილში, ფოთში, ანაკლიაში, სოხუმში, ანაკოფიაში და სხვ., ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვის პირეთში: **ანაპაში, აზოვში, ტაგანროგში, ენიკალეში, ქერჩში, კაფაში, სუდაკში, ბალაკლავაში, იკერმანში, პერეკოპში, ოჩაკოვში, კინბურნში** და სხვ. ყირიმის ხანი ოსმალეთის ვასალი იყო.

ჯერ კიდევ **პეტრე I-ის (1689-1725)** მცირეწლოვნების დროს, 1695 წელს, რუსეთის ერთი არმია კაზაკების ჯართან ერთად მდინარე **დნეპრის** შესართავისაკენ, ხოლო მეორე არმია მდინარე **დონის** შესართავისაკენ გაემართა. პირველმა არმიამ დნეპრის ქვემო წელზე ოსმალთა მიერ აგებული ორი ციხე-სიმაგრე აიღო და ორიც დაანგრია. მეორე არმიამ აზოვის ციხე-სიმაგრეს მიაღწია, მაგრამ ვერ აიღო. აზოვის აღებისათვის აუცილებელი იყო სამხედრო ფლოტი. 1696 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტმა ზღვიდან აზოვის ბლოკირება მოახდინა, ოსმალებმა ციხე-სიმაგრე ჩააბარეს. ამის შემდეგ ომი დროებით შეწყდა.

1699 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ესკადრა ფრეგატ „კრეპოსტის“ მეთაურობით **ქერჩის** სანაპიროსთან გამოჩნდა და მალე **სტამბოლისაკენ** გაცურა. **სტამბოლში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო საზავო მოლაპარაკება. საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1700 წლის 3 ივლისს. სტამბოლის ზავით (ტრაქტატით) აზოვის ზღვის სანაპირო აზოვის ციხე-სიმაგრითურთ რუსეთს გადაეცა.

რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის სტამბოლის ზავი (ტრაქტატი) საქართველოს არ შეხებია. სტამბოლის ზავი ჩვენთვის სხვა მხრივაა საყურადღებო. საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში პეტრე I-ის ტიტულატურის ჩამონათვალში იგი იხსენიება, როგორც **„ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფე“** (повелителем и государем Иверской земли, Карталинских и Грузинских царей) (**Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. СПб., 1869. ციტირებულია მეორე გამოცემის მიხედვით: Москва, 2005, стр. 25). ცხადია, ამას ოსმალეთი იმიტომ დაეთანხმა, რომ **„ივერიაში“, „ქართლსა“** და **„საქართველოში“** საზავო ხელშეკრულების დამდები მხარეები არ გულისხმობდნენ: **იმერეთის სამეფოს, სამცხე-საათაბაგოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს,** სადაც იმხანად ოსმალეთის გარნიზონები იდგა. „ივერიაში“, „ქართლსა“ და „საქართველოში“ **ქართლისა და კახეთის სამეფოები** იგულისხმებოდა, რომლებიც იმხანად ირანის გავლენის სფეროდ (ვასალად) ითვლებოდა

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის
სტამბოლის საზავო ხელშეკრულების პრეამბულიდან

Во имя Господа Бога Всемогущего в Троице славилго!

Понеже меж пресветлейшим и державнейшим великим государем, Божьей милостью, царем и великим князем Петром Алексеевичем, всея Великия и Малыя и Белая России самодержцем Московским, Киевским, Владимирским, Новгородским, царем Казанским, царем Астраханским, царем Сибирским, государем Псковским и великим князем Смоленским, Тверским, Югорским, Пермским, Вятским, Болгарским и иных, государем и великим князем Новгорода Низовской земли, Черниговским, Рязанским, Ростовским, Ярославским, Белоозерским, Удорским, Обдорским, Кондийским и всей северной страны повелителем и государем Иверской земли, Карталинских и Грузинских царей и Кабардинской земли, Черкасских и горских князей и иных многих государств и земель восточных и западных, и северных отчичем и дедичем и наследником и государем и обладателем, Его Священным Царским Величеством, и меж Величеством принарядных салтанов превеликим и почтеннейшим королем лепотнейшим Мекским и Мединским и защитителем святого Иерусалима, королем и императором пространнейших провинций, поселенных в странах европейских и азийских и на Белом, и на Черном море.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 25.

2. რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის ზავი (პეტერბურგის ტრაქტატი)

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა **აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში** დამკვიდრებისათვის ბრძოლა დაიწყო. რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე **ვახტანგ VI**. რუსეთისა და ქართლის გაერთიანებულ სამხედრო ძალას აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ის

განდევნა ნამდვილად შეეძლო, მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას არასგზით არ შეურიგდებოდა ოსმალეთი. ყოველივე ეს კარგად იცოდა პეტრე I-მა, ამიტომაც რუსეთის იმპერატორი ცდილობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასია (კასპიისპირეთი) ისე დაეკავებინა, რომ ოსმალეთთან ომში არ ჩაბმულიყო.

1722 წლის აგვისტოში **ასტრახანში** განლაგებულმა რუსეთის არმიამ კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. ვახტანგ VI ქართველთა და სომეხთა ლაშქრით (40 ათასი კაცი) **განჯაში** იდგა. ვახტანგ VI კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის არმიას **შემახასთან** უნდა შეერთებოდა, საიდანაც **ბაქოსაკენ** უნდა დაძრულიყვნენ.

1723 წლის 23 აგვისტოს რუსებმა **დარუბანდს** მიაღწიეს. პეტრე I-მა დარუბანდი დაიკავა და იქ გარნიზონი ჩააყენა, მაგრამ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. რუსები ასტრახანში დაბრუნდნენ (**გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 115-116).

პეტრე I-ს ირანის წინააღმდეგობისა არ ეშინოდა (ამ პერიოდში ის დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ). რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. რუსთა ლაშქრობის შეწყვეტამ ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ **კონსტანტინემ** ირანის თანადგომით თბილისი დაიკავა. ოსმალეთის სულთანმა ჩათვალა, რომ ირანი რუსეთს ვერ გაუმკლავდებოდა და სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედებები დაიწყო. 1723 წლის ივნისში ოსმალებმა **თბილისი** დაიკავეს, რითაც დაირღვა ირან-ოსმალეთის 1639 წლის 17 მაისის **ზოჰაბის** ზავი.

პეტრე I-მა კასპიისპირეთში ლაშქრობა განაახლა. ჯერ კიდევ 1722 წლის ნოემბერში რუსები **ენზელის ყურეს** მიადგნენ და მალე რეშტიც დაიკავეს. 1723 წლის 28 ივლისს რუსებმა **ბაქო** აიღეს, ხოლო წლის ბოლოსათვის მდინარე **მტკვრის** შესართავთან მდებარე **სალიანი** დაიკავეს (**გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 121-122).

1723 წლის 12 სექტემბერს **პეტერბურგში** რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). პეტერბურგის ტრაქტატის მეორე მუხლის ძალით რუსეთს გადაეცა: **დერბენტი** და **ბაქო** მიმდებარე ტერიტორიებით კასპიის ზღვის სანაპიროზე, **გილიანის, მაზანდარანისა** და **ასტრაბადის პროვინციებში** (**Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 192-193).

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ტრაქტატი ისათვის მეტად მძიმე მდგომარეობაში დაიდო, **რუსეთის იმპერატორს, პეტრე I-ს თავი არ გამოუდვია მისგანვე მიტოვებული მოკავშირის, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის, დასაცავად.** ცხადია, პეტრე I-ს შეეძლო მიეღწია ის მიერ ქართლის მეფედ ვახტანგის აღიარებისათვის, მაგრამ რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. პეტერბურგის ტრაქტატის დადების დროისათვის (1723 წლის სექტემბერი) თბილისსა და ქართლს ოსმალეთი ფლობდა. ასე რომ, ქართლის მეფედ ვახტანგ VI-ის აღიარება გაართულებდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას.

პეტერბურგის ტრაქტატით რუსეთმა არაპირდაპირ, მაგრამ ფაქტობრივად, აღიარა ოსმალეთის მიერ ქართლის დაპყრობა.

დანართი

რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტერბურგის
საზავო ხელშეკრულების მეორე მუხლი

II. А насупротив того, Его Шахово Величество уступает Его Императорскому Величеству Всероссийскому в вечное владение города Дербент, Баку, со всеми к ним принадлежащими и по Каспийскому морю лежащими землями и местами, такожде и провинции Гилян, Мазондран и Астрабат; и имеют оные от сего времени вечно в стороне Его Императорского Величества Всероссийского остаться и в его подданстве быть, которые места и провинции Его Императорское Величество Всероссийское для того в награду себе желает, дабы оными содержать войско, которое Его Императорское Величество к Его Шахову Величеству против его бунтовщиков в помочь посылает, и для того такожде на содержание оного войска, от Его Шахова Величества денежное вспоможение не требует.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 192-193.

3. რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)

1722-1723 წლებში რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაკავებამ, განსაკუთრებით კი 1723 წლის 12 სექტემბრის რუსეთ-ირანის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ოსმალეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ოსმალეთისათვის არაფერს არ ნიშნავდა ის, რომ ის შაჰმა არ ცნო მისი ელჩის მიერ პეტერბურგში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა და, ცხადია, კიდევ მეტის მიღწევას შეეცდებოდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მისულა, კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგვარდა. 1724 წლის 12 ივნისს **სტამბოლში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება (ტრაქტატი). (**გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბ, 1981, გვ. 122-123; **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**. საქართველო-რუსეთ--თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ, 2000, გვ. 87-90).

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის **სტამბოლის ხელშეკრულებით (ტრაქტატით)** ოსმალეთმა აღიარა კასპიისპირეთის რუსეთის ხელში გადასვლა. ამავე დროს ოსმალეთმა უარი თქვა მთელი ირანის დაპყრობაზე. სამაგიეროდ, **რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა (გიორგი პაიჭაძე**. ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 123; **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 88-90).

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულებით უკვე მეორედ და, რაც მთავარია, აშკარად გაწირა თავისი მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. თუ რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ვახტანგ VI-ის ინტერესები სავსებით უგულებელყო, რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა ქართლის სამეფოს, ისევე როგორც კახეთის სამეფოს, ოსმალეთის ხელში გადასვლა.

ირანისა და ოსმალეთისაგან ერთდროულად დევნილი ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა.

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების შემდეგ მთელი საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის ხელშეკრულების პრეამბულა

Трактать, заключенный вь Константинополь между Российскимь Резидентомь Неплюевымь и Великимь Визиремь Ибрагимомь Пашею, о согласии Россойского двора съ Турецкимъ, по доводу явившагося въ Персои самозванца Махмуда, на присоединение Персидскихъ провинций къ России и Турции по ихъ прикосновенности къ границамъ того и другого Государства.

Понеже явился нький Мрвейзовь сынь, называемой Мари Махмудь, которой нашедъ на Гуссейна Шаха Персидскаго и Испанагь, столицу Персидскую взявь, и его Шаха Гуссейна поймавь сь дьтьми его вь Испагань сущими, вь тюрьму посадиль: того для во время того разорения Перии, сь стороны высокой Порты отправлены туда войска для отобрания всьхъ потребныхъ высокой Порть порубежныхъ мьсть, какъ и взята вся Георгия, провинция области Персидской. При семъ случаь такожь и его Величество, державной и великольпной Московский Царь вьчнымь миромь обязанной приятель высокой Порты при коньюнктурь Персидскаго смущения городы Дербенть и Баку, вь Ширванской провинцои лежащие, и нькоторыя еще по берегу Каспийскаго моря лежащия мьста кь себь взяль. Между тьмь явился вь странахь Казбина и Тавриза нький Тахмасибь, называемой, Шаха Гуссейна сынь, сь которымь Его Царское Величество вь учрежденныхь артикулахь и кондицияхь, вь постановленномь и договоренномь трактать изображенныхь трактовали и постановили, что помянутые городы Дербенть и Баку вь Ширванской провинции лежащие вь какомь состоянии ни были, да будуть подь владьниемь Каспийскаго моря Персидскаго владьния лежащия земли провинции Гилань, Мазандерань и Астрабать впредь да будуть подь владьниемь помянутаго Царя. Взаимно помянутой Цать обьщался и обьявиль вспоможение помянутому Тахмасибу чинить войсками, Государство Персидское отобравь у узюрпатора Мири Махмуда, Его на престоль возставить, вь семь дьль склонить онь Высокую порту кь тому, чтобы она Тахмасибову сторону держала, сь предложениемь, что будеть добрую свою медиацию кь тому употребить, чтобь Тахмасибь уступиль Высокой Порть надлежащия провинции вь Персии, или чрезь не диецию, или общими силами; и

для такой негоциации полномочнымь опредьлиль Резидента своего при высокой Порть обрьтающагося почтеннаго вь МессᲝйскомь народь Ивана Неплюева; такожь сь общаго согласия обьихь сторонь востребовать и медиаторомь назначень почтенной медлу вельможами Мессийскаго народа Маркизь де Бонакь, державнаго и великольпнаго Короля Французскаго Посоль при Высокой Порть резидующий, чрезь медиацию котораго многократныя конференцᲝи возьимьль сь полнопмочными опредьленными сь стороны Высокой Порты и вь сей негоцᲝацᲝи Персидскаго дьла между Высокою Портою и помянутымь Царскимь Величествомь постановлено, яко вь сльдующихь пунктахь изображено:

Полное собрание законов Российской империи, с 1649 года. Том VII. 1723-1727. [СПб.]; 1830, стр. 303-304 (№ 4531).

4. რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)

რუსეთი მტკიცედ იცავდა 1724 წლის 12 ივნისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში დადებული ხელშეკრულებას და ქართლისა და კახეთის სამეფოების საქმეებში არ ერეოდა. პეტრე I-ის ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მისი გარდაცვალების (1725 წ.) შემდეგაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვახტანგ VI ამაოდ ცდილობდა რუსეთის დახმარებით მიეღწია იმისათვის, რომ ოსმალეთს ხელი აეღო ქართლზე (**გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 126-139).

ირანში არეულობა გრძელდებოდა. ავღანელთაგან დამარცხებული ის შაჰი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და 1725 წელს მიიტაცა **ყაზვინი, არდებილი** და ირანის სხვა ქალაქები. რუსეთის იმპერატორმა **ეკატერინე I-მა (1725-1727)** გადაწყვიტა ავღანელებისაგან დამარცხებული შაჰ-თამაზისათვის **გილანში** რუსეთის ჯარის ჩასვლა შეეთავაზებინა. რუსეთის ჯარს გილანში **ვახტანგ VI-ც** უნდა გაჰყოლოდა. დევნილ მეფეს გარკვეული იმედი ჩაესახა. ვახტანგ VI კასპიისპირეთში (რეშტში) 1726 წლის 10 სექტემბერს ჩავიდა. ამ დროისათვის ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა (**გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე.

თბ., 1981, გვ. 149). ირანი ვეღარ უმკლავდებოდა ავღანელთა შემოტევას. 1725 წელს ავღანელებმა **მირ-მაჰმუდის** წინამძღოლობით ამოწყვიტეს სეფიანი შაჰების მთელი მამრობითი სქესის შთამომავლობა (შაჰ-თამაზი გადარჩა). იმავე 1725 წელს თავისი არაადამიანური სისასტიკით ცნობილი მირ-მაჰმუდი მისივე ახლობლებმა მოკლეს და ირანის შაჰად მოკლულის ბიძაშვილი **ეშრეფი** გამოაცხადეს. 1726 წელს ეშრეფმა ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა ისინი. 1727 წლის სექტემბერში ირანის შაჰად გამოცხადებულ ეშრეფსა და ოსმალეთის სულთანს შორის დაიდო ხელშეკრულება. ეშრეფმა სულთანს დაუთმო ოსმალების მიერ უკვე დაკავებული ქალაქები და ციხეებში **აზერბაიჯანში, ქურთისტანსა** და **ხუზისტანში**. სამაგიეროდ, სულთანმა ეშრეფი ცნო დანარჩენი ირანის შაჰად. ოსმალეთის სულთანთან დადებულმა ხელშეკრულებამ გარკვეულწილად განამტკიცა ეშრეფის მდგომარეობა. ირანის ახალმა შაჰმა გადაწყვიტა რუსების განდევნა **გილანიდან** და **კასპიისპირეთის სხვა პროვინციებიდან.** ეშრეფის ჯარი რუსებთან ბრძოლაში რამდენჯერმე დამარცხდა. ირანის შაჰი იძულებული გახდა რუსეთთან საზავო ხელშეკრულება დაედო. რუსეთ-ის საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს) ხელი მოეწერა ქალაქ **რეშტში** 1729 წლის 13 თებერვალს (**ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 135-136).

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლის ძალით რუსეთმა ირანს დაუბრუნა **მაზანდარანისა** და **ასტრაბადის** პროვინციები. კასპიისპირეთში რუსეთის მიერ დაპყრობილი ის დანარჩენი ტერიტორია კვლავ რუსეთს დარჩა (**Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 196-197.)

რუსეთის საიმპერატორო კარს არც რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების დროს გაუთვალისწინებია ვახტანგ VI-ის ინტერესები. **რუსეთი ირანს ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგ VI-ის კანონიერი უფლების აღდგენას ვერ სთხოვდა, რადგან ქართლი იმხანად კვლავ ოსმალებს ეკავათ, ხოლო ოსმალეთთან 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში დადებული ხელშეკრულება რუსეთს ქართლის (ისევე, როგორც კახეთის) საქმეებში ჩარევას უკრძალავდა.**

რუსეთ-ის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით) რუსეთმა უკვე მესამედ (პირველად – 1723 წელს, მეორედ – 1724 წელს) აღიარა ოსმალეთის უფლება ქართლისა და კახეთის სამეფოებზე.

დანართი

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლი

3. Обеих сторон между провинциями, землями, городами, со всеми к ним прежними принадлежностями разграничение имеет быть по сему, за Дербентом от моря внутрь земли, и оттуда до реки Куры, и до устья реки Аракса по учиненными там с Портой границам, а от реки Куры и до устья реки Аракса все прилученные к империи Российской поморские провинции без перерыву и покрывающие и сообшенные с прочими приморскими провинциями по горам, и Мусульманская, и Шафтейская, и Кутумская провинции, и весь Даримарс прежними своими провинциальными границами оных обеих сторон владений да разделяют и охраняют без всякого спора и прекословие не нарушимо, а от окончания помянутых провинций прошел Шафт от границ оных до большей дороги, лежащей из Гиляна к Казбину, между Кутума и Зейтунрутбара до урочиша Нуглебар, где имеется Рагдархана, и оная Рагдархана остаться имеет в стороне империи Российской, а от Нуглебара и от Рагдархана чрез реку Себдуру по горам идучи прямо не вдаваясь ни в которую сторону в Далимайском махале при горе Маклаш на урочише Сардаб, а от Сардаба прямо же по горам не вдаваясь ни в которую сторону на горах, на урочище где Сомамского и Эшкуарского и Темижанского магалов границы сообщились. Оное урочише за граничный знак да будет, а от помянутого троеграничного урочища чрез Эшкуарский махал до Теникабунской границы прямо линия да будет, и будет новыми помянутыми границами идучи от Нуглебар и от раглархана до Сардаба, а от Сардаба до помянутого троеграничного урочиша и до Теникабунской границы, где прилучится разрезанными быть каким махалом, или булукам, или деревням, или землям, или лесам, и сколько в которой стороне из оных останется, оные да будут вечно в тех сторонах, сколько в которую сторону остаться имеет, а от урочища, где от помянутого треограничного места к Теникабунской границе прямая новая граница дойдет, а от оного места идучи Теникабунской провинции границей до самого моря обеих сторон имеет быть разделение, и помянутым из-за Дербени следуючи до устья реки Аракса по

учиненным тамо границам в своей силе да будет, а от устья реки Аракса до Кутумской провинции всех вышеупоминаемых провинций и мест по прежним провинциальным границам, а в Кутумской провинции на вышеупомянутой большой дороге из Гиляна в Казбин лежащей, меж Кутума и Зейтунрутбара до помянутого урочища Нуглебар и до Рагдархана, а от Нуглебара и от Рагдархана до урочища Сардаб, а от Сардаба до помянутого троеграничного места, а от троеграничного урочища до Теникабунской на горах границы, где новая граница придет, а от того места по Теникабунской границе до моря. Левая сторона к морю со всеми вышепомянутыми провинциями и к ним со всякими принадлежностями под высокой державой Его Императорского Величества Всероссийского, к империи Российской в вечном владении да будет, а правая сторона внутрь земли от заступленных мест многосчастливым в Персии Исфаханом и многими землями обладателем ко исфаханскому обладанию да останутся, и с стороны многосчастливого Исфаханом и многими землями обладателя люди до совершенной ратификации сего благословенного союзного мира, ни под каким образом вступать, и до помянутых мест никако, и ниже письмами касаться да не имеют.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 196-197.

5. ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის საზავო ხელშეკრულება (ჰამადანის ზავი)

ირანში ავღანელთა ბატონობა მყარი არ აღმოჩნდა. მაზანდარანში გაქცეული შაჰ-თამაზი ავღანელებთან საბრძოლველად ემზადებოდა. შაჰ-თამაზის გარემოცვაში გამოირჩეოდა თავისი სიმამაცით განთქმული **ნადირი**. 1729 წლის 13 ნოემბერს **შაჰ-თამაზმა** და **ნადირმა** ისპაანთან სასტიკად დაამარცხეს **ეშრეფი**. 1730 წლისათვის ნადირმა ავღანელები ირანიდან განდევნა და ირანის ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1731 წელს, ნადირის ავღანეთში ყოფნის პერიოდში, ოსმალებმა შაჰ-თამაზის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. იმავე 1731 წელს **ჰამადანში** ხელმოწერილი იქნა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (**ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**. საქართველო-რუსეთ--ირან-თურქეთის

ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 140; **დავით კაციტაძე.** ირანი III-XVIII სს. თბ., 2001, გვ. 421).

ირან-ოსმალეთის 1731 წლის საზავო ხელშეკრულების (ჰამადანის ზავის) მიხედვით საზღვარმა ირანსა და ოსმალეთს შორის მდინარე **არაქსზე** გადაინაცვლა. **ქართლისა და კახეთის სამეფოები დანარჩენ საქართველოსთან ერთად ოსმალეთს ერგო.**

ამრიგად, 1731 წლის ჰამადანის ზავით ირანმა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) გადასვლა ოსმალეთის ხელში.

6. რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)

შაჰ-თამაზი თავს ვერ ართმევდა ში შექმნილ მძიმე ვითარებას. 1732 წლის 21 იანვარს **რეშტში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ირანის ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი) (**ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 146).

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მეორე მუხლის ძალით ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთს უნდა დაეცალა და ისათვის გადაეცა **გილანისა** და **ასტრაბადის** პროვინციები. იმავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი პირობას დებდა **„მტკვრისპირა პროვინციებს“** (Куру-реку провинции”) არ შეიერთებდა და დაუბრუნებდა ირანს, როგორც კი შაჰი თავის ტერიტორიიდან განდევნიდა მტერს და ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა **ბაქოსა** და **დარუბანდს** (**Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 200-202.)

რუსეთ-ის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მერვე მუხლი ეხება საქართველოს. **ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს ჰპირდებოდა ქართლის სამეფო ტახტზე დაბრუნებას, როგორც კი ქართლზე ის პროტექტორატი აღდგებოდა (Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 206.)

დანართი I

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების მეორე მუხლი

2. Обещается силой сего договора, по указу Ее Императорского Величества Всероссийской, что Ее Императорское Величество, показуя к Его Шахову Величеству безприкладный знак своей высокой приязни, уступает прежние от антецессоров своих блаженной памяти всероссийских императоров, по трактатам и по праву оружия, за понесенные воинские многие ождивениа, имеющие претензии на провинции персидские с единого великодушия своего, невзирая на толь многие миллионы, на воинские иждивения употребленных своих денег, и а урон войск своих, от начала вступления в Персию понесенный; и обещает очистить и отдать от Его Шахова Величества с полной мочью определенному помянутому почтеннейшему и высокостепенному господину послу, провинцию Лагеджанскую с принадлежностями и весь Ранапух, по ту сторону Сепидруд-реки, в месяц от заключения и разменения сего трактата считая, не ожидая ратификации. Гилянскую же и Астрабатскую и прочие от Астрабата даже по Куру-реку провинции, по заключении сего трактата, и по полученной Шахова Величества на одной ратификации, или подтверждения в 5 мсяцев в таком, в каком оные провинции и места ныне в цветущем состоянии обретаются и подпротекцией войск Ее Императорпского Величества приведены, а доходы провинций Кутума и Шефта в месяц; прочих же провинций, по Куру-реку, доходы по заключении сего трактата и полученной Шахова Величества ратификации в три месяца, от людей Императорского Величества сбираны и в казну Шахова Величества отдаваны быть имеют, кому оные принимать повелено будет по вышеписанный пятимесячный срок. О прочих же провинциях и местах персидских от реки Куры, которые во владении Ее Императорского Величества обретаются, объявляются именем и по указу Ее Императорского Величества, что Ее Величество и оных к своему государству присовокупить не соизволяет, но обешает их тако ж возвратить во владение Его Шахова Величества сколь скоро в том безопасность усмотрится, а именно: когда Шахово Величество неприятелей своих, которые ныне имеются, из своих наследных провинций выгонит, и в спокойное владение государство свое приведет; что ни с какого иного намерения со стороны Ее Императорского Величества чинится, кроме доброжелательства к стороне Шахова Величества престерегая, дабы по выступлении

скором Ее Императорского Величества войск из оных провинций и мест тамо в близости пребывающие горские непостоянные народы, соединясь паки с противляющимися Его Шахова Величества подданными вновь возмущение не учинили, и те от них, уже прежде хищением своим истощенные места, которые ныне под протекйией Ее Императорского Величества войск отдохнули, и жителями поумножились, паки не вступили, и с прочими противниками Его Шахова Величества не соединились, и тем бы паки возмущение в Персии не возобновили; а сколь скоро Его Шахово Величество в спокойную власть своего государства себя приведет, то Ее Императорское Величество из прочих всех Персидского государства мест войска свои вывесть, и оные определенными для принятия от Его Шахова Величества без всякого удержания вручить повелит; но притом Ее Императорское Величеств, накрепко уговаривает, дабы те, от Ее императорского Величества российским оружием завоеванные, и Его Шахову Величеству возвращаемые провинции ни под каким образом в другие державы отдалы не были, которое великодушное Ее Императорское Величество объявление Его Шахово Величества видя, в том самом истинную к себе приязнь приемлет с благодарением и обещает взаимно всякими удобовозможными показаниями приязни своей к стороне Ее Императорского Величества воздавать.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 200-202.

დანართი II

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების მერვე მუხლი

8. Понеже обще верный Ее императорского Величества и Шахова Величества, Его Высочество царь Вахтанг Грузинский лишен своего владения, которому обешает Шахово Величество, что когда Грузия будет по-прежнему при Персии в Протекции Шахова Величества: тогда высокопомянутому в характере царском, по-прежнему обыкновению, в Грузии владение и правление иметь да определится.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 206.

7. რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულება (განჯის ტრაქტატი)

1732 წლის აგვისტოში ნადირმა შაჰ-თამაზი ტახტიდან გადააყენა და ირანის შაჰად მისი რვა თვის ვაჟი **აბასი** გამოაცხადა. ნადირი მცირეწლოვანი შაჰის რეგენტი გახდა. 1732 წლის დამლევს ნადირი ოსმალთა წინააღმდეგ დაიძრა, აიღო **ჰამადანი** და **ქერმანშაჰთან** გაანადგურა ოსმალეთის არმია, გაულიტა 40 ათასი კაცი, ტყვედ წაიყვანა 20 ათასი. ირანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს **ბაღდადს**. 1733 წლის დეკემბერში **ნადირსა** და ოსმალო ფაშას **აჰმედს** შორის დაიდო ზავი. ზავის პირობით ირანს უბრუნდებოდა ოსმალეთისაგან მიტაცებული ყველა ტერიტორია, მათ შორის **ქართლი** და **კახეთი**. ოსმალეთის სულთანმა ზავის პირობები არ ცნო და ომი განახლდა. მალე ომმა სამხრეთ კავკასიაშიც გადმოინაცვლა.

1734 წლის ზაფხულში ნადირმა **შემახა** აიღო და რუსეთის იმპერატორს **ანა ივანე ასულს** დაპირებისამებრ **დარუბანდისა** და **ბაქოს** დაბრუნება მოსთხოვა. ოსმალეთი **ქართლის, კახეთის,** ასევე **განჯისა** და **ერევნის** ციხე-სიმაგრეების შენარჩუნებას ცდილობდა.

რუსეთმა, რომელიც დაინტერესებული იყო თან კავშირით, ნებაყოფლობით თქვა უარი მდინარე **მტკვრის სამხრეთით მდებარე ულ პროვინციებზე**. რუსეთსა და ირანს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა **განჯაში**. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1735 წლის 10 მარტს (**ალექსანდრე ფირცხალაშვილი**. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 144-145; **გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 172-173).

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების პირველი მუხლი ადასტურებდა რუსეთ-ის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების პირობებს, რომლის ძალითაც რუსეთმა ირანს დაუბრუნა **გილანი, მაზანდარანი** და **ასტრაბადი**. განჯის ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირველი მუხლებით კი რუსეთი ირანს **დარუბანდსა** და **ბაქოს** უბრუნებდა (**Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 208-209.)

რუსეთ-ის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ განჯის ხელშეკრულება **„ანახლებდა“** და **„ადასტურებდა“** რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების პირობებს (сим трактатом вечного союза, возобновить и подтвердить) (**Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 210). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძალაში რჩებოდა რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების მერვე მუხლი, რომლის ძალითაც **ის შაჰი ვახტანგ VI-ს ქართლის ტახტზე დაბრუნებას აღუთქვამდა.**

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირველი მუხლი ირანს ავალდებულებდა **დერბენტში არსებული ქართული ეკლესიის დაცვას და იქ ღვთისმსახურების გაგრძელების უზრუნველყოფას (Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 209.)

დანართი I

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის
ხელშეკრულების პირველი მუხლი

1. За такое многое одолжение и дружбу, что учинено от стороны Российской империи, Иранское государство обешается, вечно с Российской империей пребыть в союзной дружбе, и крепко содержать российских приятелей за приятелей, а неприятелей российских за неприятелей иметь, и кто против сих двух Высоких Дворов войну начнет: то оба Высоких Двора против того неприятеля войну начать, и во всех случаях друг другу помогать должны. Города Баку и Дербент, никаким образом и ни под каким видом, в руки других держав, а паче обших неприятелей, не отдавать но всячески иметь старание, дабы оные в державе Иранского государства содержать. А которые обыватели вышепомянутых городов, будучи в подданстве, какие службы Ее Императорскому Величеству Всероссийскому и Российской империи, по верности своей отправляли оным никакого за то истязания не показать, и то им в неверность Иранскому государству не причитать. Имеющийся в Дербенте грузинский монастырь христианского закона, оный да пребудет во всем нерушим, и в нем, по обычаю и вере христианской, отправление службы позволяется, никакого помешательства ни от кого не будет, ниже

служителям в оном, которых, как духовного, так и светского чина, не более шести человек быть имеет, никто никакого озлобления учинить да не дерзает.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 208-209.

დანართი II

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის
განჯის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი

IV. Напред сего в Ряще, между обоими дворами заключенный (21 января 1732 года) трактат, кроме тех артикулов, что уже пред сим в действо произведены, власно, акибы в сей артикул от слова до слова был внесен, сим трактатом вечного союза, возобновить и подтвердить, который нерушимо навеки храним и содержан быть имеет.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 210.

8. რუსეთ-ოსმალეთის 1739 წლის 18 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (ბელგრადის ტრაქტატი)

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) 1735 წლამდე არ დარღვეულა. 1735 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1739 წლამდე გაგრძელდა. ომის ფორმალური მიზეზი გახდა ყირიმის ხანის თავდასხმები რუსეთის სამხრეთ პროვინციებზე. ომის ნამდვილი მიზეზი ჩრდილოთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირება იყო.

1736 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ყირიმის სახანოს დედაქალაქი **ბახჩისარაი** და **აზოვის** ციხე-სიმაგრე, 1737 წელს – მდინარე დნეპრის შესართავში მდებარე **ოჩაკოვის** ციხე-სიმაგრე. 1739 წელს რუსებმა **სტავუჩანთან** (მდ. დნესტრზე) ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. 1739 წლის 18 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის **ბელგრადში** ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი).

ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო **აზოვი**, ოღონდ სამხედრო-საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის უფლების გარეშე.

ბელგრადის საზავო ხელშეკრულების ძალით, დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთმა შეინარჩუნა ყველა სიმაგრე ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. (**Т. Юзефович**. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 38-46).

ამრიგად, ოსმალეთს დარჩა მის მიერ ადრე დაკავებული სიმაგრეები **აფხაზეთში, სამეგრელოსა** და **გურიაში**.

9. რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის საზავო ხელშეკრულება (ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი)

აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩებოდა. 1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. 1769 წელს აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო **მოლდოვისა** და **ვალახეთის** ტერიტორიაზე, ასევე **აზოვის ზღვის** სანაპირო რაიონებში. 1770 წელს რუსეთის არმიამ მდინარე **ლარგასთან** და მდინარე **კაგულთან** (მდინარე პრუტის შენაკადები) დაამარცხა ოსმალეთის არმია და მდინარე **დუნაის** მიადგა. 1770 წელსვე რუსეთის სამხედრო ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში, **ჩესმენის ყურეში** (მცირე აზიის სანაპირო), გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. 1771 წელს რუსებმა **ყირიმის სახანოს** ტერიტორია დაიკავეს.

ოსმალეთთან ომში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქრისტიანი ხალხების გამოყენება გადაწყვიტა. 1769 წელს **იმერეთისა** და **ქართლ-კახეთის** სამეფოებმა **რუსეთთან** სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს. 1769 წელს რუსეთის არმიის საექსპედიციო კორპუსი გენერალ **გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენის** მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის აპრილში ქართლ-კახეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ქართველებსა და რუსებს მტკვრის ხეობით **ახალციხის** მიმართულებით უნდა შეეტიათ. 1770 წლის აპრილში გენერალმა გ. ტოტლებენმა **აწყურის** ციხის ალყის დროს **ერეკლე II** მოღალატურად მიატოვა და უკან გამობრუნდა. მართალია, 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან**

გამართულ ბრძოლაში ქართლ-კახეთის ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. აწყურის ციხესთან ბრძოლის მიტოვების შემდეგ გენერალი გ. ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის სამეფოში გადავიდა. **გენერალ გ. ტოტელებენის ღალატი რუსეთის საიმპერატორო კარის შორსგამიზნული გეგმის ერთი დეტალი იყო.**

სოლომონ I-მა ისარგებლა იმით, რომ ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძირითადი ძალები გაანადგურა და ოსმალებს შეუტია. 1770 წელს იმერეთის მეფემ ოსმალებს **ცუცხვათისა** და **შორაპნის** ციხეები დაატოვებინა. ამის შემდეგ სოლომონ I-მა **ქუთაისის** ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, თუმცა ციხის აღება ერთბაშად ვერ მოახერხა. 1770 წლის 2 ივლისს სოლომონ II-მ და გენერალმა გ. ტოტლებენმა **ბაღდადის** ციხეს შემოარტყეს ალყა, მალე ოსმალთა გარნიზონი დანებდა. 6 აგვისტოს ღამით, გ. ტოტლებენის აშკარა თანადგომით, ოსმალთა გარნიზონი შეუმჩნევლად გაიპარა **ქუთაისის** ციხიდან. 1770 წლის 3 ოქტომბერს გ. ტოტლებენმა ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ ვერ აიღო. გ. ტეტლებენს მალე იმერეთის მეფესთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. 1771 წლის მაისში იმერეთში რუსთა საექსპედიციო კორპუსის ახალი მეთაური გენერალი **ა. სუხოტინი** ჩავიდა. ფოთი ვერც ა. სუხოტინმა აიღო და 1771 წლის ოქტომბერში ციხე-სიმაგრეს ალყა მოხსნა. 1772 წლის ივნისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოს საზღვრები დატოვა.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა. ომის დასასრულისათვის ოსმალები განდევნილნი იყვნენ იმერეთის შემდეგი ციხეებიდან: **ქუთაისიდან, ცუცხვათიდან, შორაპნიდან** და **ბაღდადიდან**.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი დამთავრდა საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით), რომელიც ხელმოწერილ იქნა 1774 წლის 10 ივლისს სოფელ **ქუჩუკ-კაინარჯში** (მდ. დუნაის მარჯვენა სანაპირო).

რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ძალით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი – შავი ზღვისპირეთის სტეპის ზონა (ნოვოროსია). **ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ეხებოდა საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს.** საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ:

„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან – საქართველოდან, სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე: პორტა ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ: ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალმა და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი.

ამრიგად, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) იყო რუსეთის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ინტერესებს იცავდა.

დანართი

რუსეთ-თურქეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი

Арт. 23. В части Грузии и Мингрелии находяшиеся крепости Богдадчик, Кутаис и Шегербань, российским оружием завоеванные, будут Россией признаны принадлежащими тем, кому они издревле принадлежали, так, что ежели подлинно оные города издревле, или с давнего времени были под владением Блистательной

порты, то будут признаны ей принадлежашими: а по размене настоящего трактата в условленное время, российские войска выдут из помянутых провинций Грузии и Мингрелии. Блистательная же Порта со своей стороны обязывается, в сходственность с содержанием первого артикула, дозволить совершенную амнистию всем тем, которые в том краю, в течение настоящей войны, каким ни есть образом ее оскорбили. Торжественно и навсегда отказывается она требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей, обязывается не почитать между ими никого за своих подданных кроме тех, кои издревле ей принадлежали, все замки и укрепленные места, бывшие у грузинцев и мингрельцев во владении, оставить паки под собственной их стражей и правлением, так как и не притестять никоим образом веру, монастыри и церкви, и не препятствовать поправлению старых, созиданию новых, и да не будут притесняемы какими-либо требованиями от губернатора чилдирского и от прочих начальников и офицеров в лишению их имений. Но как помянутые народы находятся подданными Блистательной Порты, по Российская империя не имеет со всем впредь в оные вмешиваться, ниже притеснять их.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 56-57; **Е.И. Дружинина**. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (Его подготовка и заключение). Москва,1955, стр. 356.

10. რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის საზავო ხელშეკრულება (იასის ტრაქტატი)

რუსეთის ბრძოლა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში გაბატონებისათვის 1783 წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა ყირიმის სახანო რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. ოსმალეთი ვერ ეგუებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს ყირიმის სახანოს დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა. ომი გარდაუვალი გახდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა. 1787 წელს **კინბურნთან** (ოჩაკოვის მახლობლად) რუსეთის არმიამ ოსმალები სასტიკად დაამარცხა. 1788 წელს რუსებმა **ოჩაკოვის** ძლიერი ციხე-სიმაგრე დაიკავეს. 1789 წელს **ფოქშასთან** (მდინარე რიმნიკზე) ოსმალები კიდევ უფრო სასტიკად დამარცხდნენ. 1790 წელს რუსეთის არმიამ აიღო მდინარე დუნაის შესართავში მდებარე **იზმაილის** ციხე-სიმაგრე. რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი. დამარცხებული ოსმალეთი ზავზე დათანხმდა.

1791 წლის 29 დეკემბერს **იასში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ყველა მუხლი. საზავო ხელშეკრულების ძალით ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ტერიტორიად გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპირო მდინარეებს **დნესტრსა** და **სამხრეთ ბუგს** შორის (**Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 63-64).

იასის საზავო ხელშეკრულება საქართველოსაც შეეხო. **ოსმალეთმა ცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ძალით ოსმალეთის სულთანი ვალდებულებას იღებდა, რომ ახალციხის ფაშა თავს აღარ დაესხმოდა ქართლ-კახეთის მეფის** (საზავო ხელშეკრულების ტექსტში: царем Карталинских – ვ.გ.) სამფლობელოებს (**Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 65). **დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების) მიმართ ძალაში დარჩა 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობები.**

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის
საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლი

Ст. V. В доказательство между обеими Договоривающимися Империями искренности и дружбы, которые, не довольствуясь единым нине восстановлением мира и доброго согласия между ими, ишут и на будушие временя утвердить оный прочным образом, отврашая со всевозможным радением все причины, могушие подать повод к спорам и отсуде, Блистательная Порта обешает подтвердить вновь издаваемым фирманом данный прежде, чтоб ахалцихский губернатор, пограничные начальники и прочие отныне впредь ни тайно, ни явно, ни под каким видом не оскорбляли и не беспокоили земель и жителей владеемых царем Карталинским, о

чем и отправить к помянутому ахалцыхскому губернатору, к пограничным начальникам и к прочим со строжайшим прешением и подтверждением указы.

Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 65.

სარჩევი:

წინასიტყვა----------
თავი I. საქართველო-რუსეთის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების დასაწყისი ----------
თავი II. საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისი. ----------
თავი III. პრორუსული ორიენტაციიდან პროირანული ორიენტაციისაკენ ------
თავი IV. პროირანული ორიენტაციიდან პრორუსული ორიენტაციისაკენ ------
თავი V. საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდა ----------
თავი VI. გეორგეევსკის ტრაქტატი ----------
თავი VII. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ----------
თავი VIII. საქართველოს საკითხი რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულებებში (1700-1791 წწ.) ----------